

სამართლის მოუწვევა და ცხადნილების უზრუნველყოფა - გარეობრივი საქართველო

სამართლი

№ 2 (39) 1.02.2015 - 1.03.2015

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

ვ. 2



კათარა
კოლეგია
ასოლი გვილის
გაირობა

რა მენა,

გვილს

შეუჩასხეს

ხომ არ


მივაყავიდი



მიმოზა
ჯვალიანი

ხახა ილია კარტოზია

ვ. 32




იოან
იოანდარის
დღამზა უცხოები
ცარილობი

ვ. 6



ვ. 10



იოსებ
ერებუნის
გადარჩევილი
ცეცხლის

იონ კავალარია

..ჩოხეარს უკრავს
კოლეგი ქალი

ვ. 20



ასე ვითარდებოდა
ზუგდიდი...



ეიძღის რეაბის ურცელის გამოცერა
მიმართათ გადაეციას *აქტორი*

„ნინო რაცვიაშვილის გამომუშაობისაზე“

კონკურსი



მისამართი:
თბილისი,
ლასელის 27
მ2-2 სართ.
599746810
790746810



ს ა რ ჩ ე ვ ი



უანგარო თავგანწირვა — მამა ილია კარტოზია 2



ძმაო ძვირფასო — მამა გიორგი თევდორაშვილი 4



რა წვლილი მიუძღვის ლენინს ნოე უორდანიას შვილის დაბადებაში 5



ნიკოლ უორდანიას ქართული ოჯახური ისტორიები 6



პროფესორ უორდანიას გმირობა 10



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 15



ძლევაი საკვირველი — დავით კიკოლაშვილი 16



გივი სიხარულიძე იუბილარია 18



სუნთქვა მინდა იმ სურნელის... — ნინო კემულარიას პოეზია 20



მანანა სურმავას რეზიუმე 22



მეგრულ-ქართული ლექსიკონი 25



ასე ვითარდებოდა ზუგდიდი 26



ღვთისკენ სავალი გზა, ალექსონბა სენაკში 29



თემო სახურია „ბერმონაზონი ვასილ ფირცხალავა 30



ნიკო ნიკოლაძე — ნიკო ნიკოლაძის უცნობი წერილები 32



თვითმკვლელობა მოსკოვში და ომის დროს აფხაზეთიდან მოპარული



უნიკალური ხატები 34



მკერდის კიბოს სიმპტომები და პროფილაქტიკა 36



რა მსგავსებაა ნაცარქექიას ანუ თაჭკუმსა და „მძლეთამძლეს“ შორის 38



ზღვის მარილი — ჯანმრთელობისა და სილამაზის მინერალი 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვაძეიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამჯურნებელი —

გონა გულაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარშვაიშვილი

ტექსტი ააწყო

თამარ გოგიანავა

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრულებს
და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის
პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები,
ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ
თქვენს მონატერებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქტორი შემოსული მსალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

უნგარო თევზანცირვა

ჰუტლიარქმა არქიმანდრიტი ილია
ეკატოზის შესახებ აღნიშნა, რომ
მოძღვას შეაძლო გადარჩენა,
თუმცა მან საკუთარი აღგილი ბავშვიან
ქალს დაუთმო, რის გამოც ზღვაში
გადავარდა და დაიღუა.

† ოთხელ



2014 წლის 28 დეკემბერი. ადრიატიკის ზღვამ შთანთქა ქართველი, 27 წლის სასულიერო პირის, მამა ილიას სხეული, სული კი ზეციურმა სამყარომ წარიტაცა.

ეს ყველაფერი ასე დაიწყო... მამა ილია, საერო სახელით ომარი სოხუმში დაიბადა. ცელქი, მოუსვენარი ბიჭო იყო, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ტანად ზორბა. ბავშვობა სანმოკლე აღმოჩნდა მისთვის. მაშინ, როდესაც მისი თანატოლები ეზოში თამაშობდნენ, ომარი ეკლესიისკენ მიიკვლევდა გზას. 12 წლის იყო, როცა სტიქაროსანი გახდა. მეგობრის მამამ გაუკვლია გზა ეკლესიისაკენ. არასდროს არაფერი ეზარებოდა, ყველას შემწე და დამხმარე იყო. მამა გიორგის გაუმჯდავნა, რომ სასულიერო აკადემიაში ჩაბარება უნდოდა. მამაომ რჩევისათვის მშობლებისკენ მიუთითა. ომარმა მშობლებს გული გადაუშალა — ღვთის გზით მინდა ვიარო, ბერად უნდა შევდგე, ამისთვის თქვენი ლოცვა-კურთხევა მჭირდებაო. შვილის ეს გადაწყვეტილება მშობლებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. დედა — მიმოზა ჯერენაია: -

„რა მექნა, შვილს შეურაცხყოფას ხომ არ მოვაყენებდი, სხვა გზა არ მქონდა, დავთანხმდი. მამამისმა უთხრა; იქნებ ცოლი მოგეყვანა შვილო და მერე ნასულიყავიო. ეგ, როგორ, მამა, ჩემს ცოლს თქვენ ხომ არ დაგიტოვებდით, თქვენ ჩემს ძმას, ნიკას მიხედვთ, მე სხვისი მფარველობა მჭირდება, მოვა დრო, რომ სხვისი მფარველი მე



ମୁଦ୍ରଣ



კიქნებით. და აი, მართლაც 28 დეკემბერი ეს იყო დღე, როცა თავისი სიცოცხლე ბერძენ დედა-შვილს ანაცვალა.

მამა ილია დროის დიდ ნაწილს საფარის მო-
ნასტერში ატარებდა. ის ყველაზე ახალგაზრდა
არქიმანდრიტი გახლდათ. 18 წლის ბერად აღი-
კვეცა, მამათა მონასტრის წინამდღვრად დაინი-
შნა. ფიზიკურად მუშაობდა, ჩქარობდა, რომ
ტაძარი სწრაფად დასრულებულიყო. ანდერძის
თანახმად სწორედ აქ მიუჩინა უფალმა სამუდამო
განსასვენებელი.

27 ნლის ასაკში უდროოდ შეწყდა მამაოს სიცოცხლე. „ბორა ნორმან ატლანტიკზე“, რომელიც იტალიის ქ. ბარისკენ მიემართებოდა ხანძარი გაჩნდა. 422გზავრიდან8ქართველიიყო. მრევლიწმ. ნიკოლოზის ტაძრის მოსალოცად მიღიოდა. მოხდა უბედური შემთხვევა, რის შემდეგაც 11 ადამიანი გარდაიცვალა. მამა ილია ხალხს ევაკუაციაში ეხმარებოდა, შეეძლო გადარჩენილიყო, მაგრამ წინ დედა-შვილი გაუშვა, მისი სიცოცხლის თოკი კი გაწყდა და სხეული ადრიატიკის ზღვამ შთანთქა, ზღვამ, რომელმაც თავის გავეშებული ტალღებით გული რომ იჯერა, წმინდანის გვამი სანაპიროზე გამორიყა.

ამბობენ მამა ილიას ზურგჩანთა ბოლო წუთამდე
არ მოუცილებია, რადგან ჩანთაში ხატები ენყო.

მამა ილია კარტოზიას
სამოქალაქო პანაშვიდი
სამების საკათედრო ტაძარში



დედა- მიმოზა ჯგურენაია



მოძღვარი მამა გიორგი

მაამა ილია თურქე გამუდმებით ლოცულობდა და ხალხს ლოცვით ამხნევებდა მის გმირობაზე წერს იტალიური პრესა.

ასეთი ქმედება არავის გაპკვირვებია. ის ყოველთვის სხვისი დამხმარე იყო. სასულიერო პირი 2008 წლის ომშიც მონაწილეობდა, ქალაქი ყველაზე ბოლომ დატოვა.

მაშინ მორჩილი იყო, სხვა სასულიერო პირებთან ერთად უამრავ შეჭირვებულს ეხმარებოდა.

ამ ყველაფერს კი ქალბატონი მიმოზა, უკვე გმირი დედა ტელევიზიით ადგვნებდა თვალს.

რა ქნას ტირის, სტკივა, შესამოსელს ეფერება
და უფალს ქვეყნისა და ერის ბედნიერებას
შესთხოვს. მართლაც და ნიშნიანიძის სიტყვებს თუ
მოვიშველიებთ „არის პატარა კოლხეთიც, დიდთა
რაინდთა მხარე“ — ამ კოლხეთის შვილია — გმირი
რაინდი მამა ილია კარტოზია.

ნინო რაჭელიშვილი

«... un posto, le ha detto di andare avanti». È in quel momento che lo avevo perso di vista? «...» Non aveva con sé uno zaino. Deveva esser stato tutto di legno, dalle immagini quali padre filia non si voleva assolutamente separare. Diceva che le aveva portate da solo perché non aveva tempo di arrivare il suo turno e si era dispergato ad una fune che però ha cestato. Padre filia è finito in mare».

E voi conoscete questo fatto?

«...» «...» «...» Ebbi in acqua un colpo di salviettage, ma il mare era molto agitato, leonardese lui non è riuscito a prenderlo. È morto annegato, così. Non sì fine alla storia abbiamo sper-

se. «Gli
ma vol-
di cui
Qua-
Carma
mento
enigia
anzia.
al po-
piò tu
ra. «S
sono i
una p
co-
giung
pres
un po
non d
dose»

იტალიური პრესა მამა ილიას თავგანწირვის შესახებ

“სამეცნიერო” № 2

მიმდინარეობს ერთად „სამეგრელოს“ გამოწერა

(გმირულად გარდაცვლილ მამა ილია ქარტოზიას)

შენმა სიკვდილმა გააღვიძა ერში გმირობა
ქრისტეს მხედარმა აღასრულე მტკიცე ჰირობა
მმაო მვირფასო, დაგვანასე ბერის ზრდილობა
უკვე ზეცაში გააგრძელე მეობილობა.

ჯერ კიდევ ბავშვმა გადაწყვიტე ღმერთთან წინდობა.
უხილავ მამულს შეავედრე ჩვენი მშვიდობა.
ახოვანებით გაგვიწიე მამებს გიდობა.
ადრე ინება ზეციერმა შენი მისმობა.

გვიან გავიგე რა ეოფილა ნათელ-მირნობა.
რთულია ქვეყნად მონაზონობა, მშვიდი სიზნობა.
ერთობ მნელია ვაჟებაცური სულის წირობა,
დამდუშველია, წუთისოფლის სრული მინდობა.

ევედრე უფალს შემწედარიულს სალხში ქიშნობა.
დროზე დასრულდეს კონიერთა მიამიტობა,
მლოცველთა გულში ჩაღვრილიულს სიამტკბილობა
მოძღვრის ბაგეზე ეოფილიულს ზირდაპირობა.

დღეიდან შენზე იგალობებს ზეცის მგვიდრობა
მსოფლიომ უმაღ დააფასა ზესთაშვილობა,
საქართველოში მუდამ იუ მსგავსი ბიჭობა,
ასეთი მსხვერპლი სულიწმინდამ განაპირობა.

მამა გიორგი თევდორაშვილი
30.01.2015

თავდორი მდიდოლი ტმირობა

თავდორი კვალთალი, თავდორი მლიველი (გ. 1609), ოსმალ
დამაყრობლის ციხის მამა გართვალი.

1609 ოსმალთა ჯარი ქართლში შეიჭრა და ცდილობდა გზა
გაეკვლია მეფის ბანაკისაკენ. ოსმალებმა სოთ. კველთის მღვდელი
თევდორე კველთელი შეიძყრეს და მეგზურობა უბრძანეს. თევდორე
კველთელმა მტერი სხვა მიმართულებით გაიტყუა და დაშორა
ისინი ცხირეთის ციხეს, სადაც მეფის ბანაკი იდგა. ბოლოს ოსმალები
მიუხვდნენ განზრახვას და წამებით მოკლეს. თევდორე კველთელის
თავგანწირვამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა და საშუალება
მისცა მეფე ლუარსაბ ॥-ს მომზადებული დახვედროდა მტერს.



რა ცვლილი მიუძღვის ლენის ნოე ერქანის გვილის დაგაღებაში

ნოე უორდანიას შვილი, რეჯებ უორდანია ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ბატონი რეჯები ხანდაზმულია და მიუხედავად ასაკისა, ბევრს მოგზაურობს, ენევა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

სამნეუხაროდ, ბატონი რეჯები ქართულად კარგად კერ საუბრობს და ინტერესის ჩანერისას თარჯიშის დახმარება დაგვჭირდა.

- პირველად როდის იხილეთ საქართველო?

- საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში ჩამოსვლა შეუძლებლად მიმართდა. ბავშვობაში წინაპართა ქვეყანა რომანტიკულ, ზღაპრულ სამყაროდ წარმომედგინა, რომელიც გმირებითა და კეთილშობილი რაინდებით იყო დასახლებული, სადაც უმშვინიერესი ასულები ცხოვრობდნენ... პირველად ოთხმოციანი წლების მიწურულს ჩამოვედი. მაშინ საზოგადოება ძალიან ცუდად იყო ინფორმირებული პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და თავად ნოე უორდანის მოღვაწეობის შესახებ. თუმცა ის მოქალაქეები, უფრო მეტად კი სახელმწიფო მოხელეები, ვინც ამის შესახებ რაღაც იცოდნენ, ჩემთან ურთიერთობას ერიდებოდნენ. მახსოვს, თბილისის ერთ-ერთ რესტორანში მეგობართან ერთად ვიჯექი. შემთხვევით, მეზობელი სუფრის წევრები მისი ნაცნობები აღმოჩნდნენ და გვთხოვეს,

- ჩვენს სუფრას შემოუერთდითო. როცა მათ ჩემი თავი წარუდგინეს, ხალხს სახეზე ალევება და დანეულობა შევატყვე; მეტიც, ჩვენი მიბატიუება გადაიფიქრეს და ძალიან მალე, იქაურობა დატოვეს. ახლა კველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მაოცებს და მახარებს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდებმაც კი ბევრი რამ იციან ნოე უორდანიასა და იმ კონკრეტული ისტორიული ეპოქის შესახებ...

საქართველოში ვიზიტისას მოვინახულე ის ადამიანები, რომლებიც საკუთარი მინიდან გააძევეს და ახლა წეროვანში ცხოვრობენ. ჰოდა, გამახსენდა მამა, რომელიც თავისი დარბოზემათსავითაიძულეს, დაეტოვებინა ყველაფერი და უცხო მხარეში გადახვენილიყო... თუმცა, ესენი მშობლიურ მიწა-წყალზე მაინც ცხოვრობენ...

- რამდენად კარგად იცნობთ საქართველოს ისტორიას?

- ხშირად მეკითხებიან - რა აზრის ვარ ნოე უორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, მის ისტორიულ წვლილზე? ჩემი აზრით, ეს ისტორიკოსებმა უნდა შეფასონ. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი დაზუსტებით: მამა მთელი ცხოვრება საქართველოს კეთილდღეობაზე ოცნებობდა, მხოლოდ სამშობლოს უსაზღვრო სიყარულით ცოცხლობდა და სულდგმულობდა. ის მიყვებოდა ქართველებზე, მათ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, ხატოვნად აღმნერდა საქართველოს ბუნებას: ჩანჩქერებს, ტყეებს, მდელოებს... ჰოდა, როცა აქ ჩამოვედი, მეგონა, რომ ეს ყველაფერი უკვე ნანახი მქონდა. მამა ხშირად იხსენებდა ბავშვობას, კონკრეტულ ადამიანებს, მათ სახელებსა და მეტასახელებს, ყველდა თამაშობებზე, ბავშვურ ოხუნჯობაზე... მას სიცოცხლის

ბოლომდე ჰქონდა იმედი იმისა, რომ ოდესშე სამშობლოში დაბრუნდებოდა.

- გვამპეტ ლევილზე - ქართველების სოფელზე საფრანგეთში.

- ეს მშვენიერი სოფელი პარიზის სიახლოეს მდებარეობს. აქ 1921-1922 წლებში საქართველოდან წასული ნოე უორდანია და მისი მთავრობის წევრები დასახლდნენ. მათ ისეთი ადგილი შეარჩიეს, სადაც ბუნება ზუსტად ისეთივეა, როგორიც საქართველოში. სოფელს მაღალი "ცოცხალი ღობე" (ნარგავების) შემოავლეს და ერთადერთი ჭიშკარი აქვს. იქ ხშირად იშლებოდა დიდი სუფრა, რომელსაც აუცილებლად, თამადა უძღვებოდა და ამბობდნენ ტრადიციულ ქართულ სადლეგრძელოებს...

- დედაზე რას გვეტყვით?

- დედა ეროვნებით რუსი იყო, ორიოლიდან. მშობლები ერთმანეთს ფრანგულად ელაპარაკებოდნენ. დედა

მიყვებოდა გრიმების ზღაპრებს, მამა მიამშობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე

- ავთანდილზე და ტარიელზე... დღემდე მახსოვს ქართული ზღაპარი „ნაცარქექია“ და ლექსი - „ჩიტო, ჩიტო, ჩიორა“... ერთ კურიოზს მოგიყვებით, რომელიც ჩემს დაბადებასთან პირდაპირ კავშირშია: გინდ დაიჯერეთ, გინდ

- არა, მაგრამ ჩემს ამქვეყნად მოვლინებას პროლეტარიატის ბელადს,

ვლადიმირ ილიჩ ლენინს უნდა ვუმადლოდე და დიდ მაღლობას უზები ამისთვის (იცინის)!

მოკლედ, მამას და ლენინს

ახალგაზრდობაში ჩვეულებრივი ნაცნობობა აკავშირებდათ. ერთხელ, 1903 წელს, მამას ქუჩაში შემთხვევით შეხვედრია ლენინი. ნოეს უთქვამს, რომ პარიზში აპირებდა წასვლას, ვლადიმირ ილიჩს კი მისამართი მიუცია: პარიზში ერთი ჩვენი სტუდენტი გოგონა ცხოვრობს, რომელიც ბინას აქირავებს და შეგიძლია, მასთან გაჩერდო... ამ ბინის მეპატრონე ახალგაზრდა ქალბატონი ნოეს მეულლე გახდა. სხვათა შორის, დედაჩემი პირველი რუსი იურისტი ქალი გახლდათ.

- ბატონ რეჯებ, ახლა რას საქმიანობთ?

- ვცხოვრობ ნიუ-იორკში. რაც შეეხებათ შვილებს: ვაჟი საფრანგეთშია, ერთი ქალიშვილი - ვაშინგტონში, მეორე კი, რომელიც ცოლად ქართველს (სანდრო ქიტიაშვილს) გაჰყავა, თბილისში ცხოვრობს.

მყავს შვილიშვილები... უკვე 89 წლის გახლავართ, მაგრამ არ ვდუნდები, გამუდმებით ვმოგზაურობ: გარკვეული პერიოდი ნიუ-იორკში ვარ, რაღაც დროით - პარიზში, ხან საქართველოს ესტუმრობ, ხანაც - რომელიმე სხვა ქვეყანას. მოკლედ, აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ, სულ რაღაცას ვაკეთებ. ახლახან თბილისში საზაფხულო სკოლა დავაარსე, სადაც მსურველები ინგლისურ ენას დაეუფლებინ. ჩემი სამშობლოა - ლევილი-ნიუ-იორკი-თბილისი და თითოეულ მათგანს ჩემს გულში თავისი ადგილი აქვს. საქართველოში ცხოვრობს 4 მილიონი ჩემი სისხლი და ხორცი, ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ოჯახი - ჩემი ოჯახია!

ელევ ხილსელი

ცეკვა ერეზენის ქადაგი რაქეული ისტორიაში

ნიკოლ უორდანია მენშევიკური საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ნოე უორდანიას შვილიშვილი და რეჯებ უორდანიას ქალიშვილია. ამ ჭკვიანმა, ლამაზმა და აქტიურმა ქალბატონმა, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს მიუძღვნა. იგი აქ საკუთარ ფესვებთან დაბრუნების სურვილმა ჩამოიყვანა.

ათწლეულები სიცრუეში გვაცხოვრა და „ამ“ და „იმ“ საქართველოს შორის „რეინის ფარდად“ ჩამოგვეფარა. გოგონა კი, რომლის ბაბუაც

ჩოგო ასნავის პასახი ნიკოლი ლეს ქათაც



„არარსებული“ ქვეყნის „მეფე“ იყო, ჩვენთან ჩამოვიდა და მეგობრობისა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა.

— ნიკოლ, რა მოხდა მაშინ, როდესაც გააცნობიერეთ, რომ ბაბუა მეფე არა, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარე ნამდვილად იყო?

— ამან მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. სკოლაში ყოფნისას ძალიან ცოტა რამ ვიცოდი საქართველოს შესახებ, ინტერესი კი დიდი მქონდა. უნივერსიტეტში ფრანგულის განხრით ჩავაბარე და ეს გადაწყვეტილება ისევ ჩემი ოჯახის გამო მივიღე. ბაბუაჩემის საფლავი საფრანგეთშია. მთელმა ჩემმა სანათესაომ ამ ქვეყანას დაუკავშირა საკუთარი ბედი საქართველოს შემდეგ და ამდენად, თავს მოვალედ ვთვლიდი, ამ ქვეყნის წინაშე; თან, ფრანგული ლიტერატურაც ძალიან მიყვარს, მაგრამ, ამ ყველაფერს უნივერსიტეტში მხოლოდ პირველი კურსი მიუჟღვენი, მეორე კურსიდან კი საბჭოთა იმპერიის ისტორიის შესწავლა დავიწყე. ის საგნები ავირჩიე, რომლებიც კავკასიის ისტორიას ეხებოდა. ვსწავლობდი რუსეთის ისტორიას, რადგან მხოლოდ იქ თუ ვიპოვიდი საქართველოზე ინფორმაციას. მოკლედ, შემოვლითი გზებით დავიწყე საქართველოსთან მიახლოება. დეტალურად შევუდექი კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების შესწავლას და ამ ყველაფერმა

ისტორიის ფურცლებზე

საქართველომდე მომიყვანა. დაახლოებით სამი წელი ვსწავლობდი რუსულს, რადგან ეს ენა წიგნებზე მუშაობისას მჭირდებოდა. თუმცა, რუსული სალაპარაკო ენად არც მაშინ და არც ახლა არ გამომიყენებია. ჩემი შრომის შედეგი კი ის იყო, რომ საერთაშორისო განვითარების დარგში პროფესიული კარიერა შემექმნა. ვმუშაობდი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოში, ორგანიზაციაში „დაიცავი ბავშვი“; ასევე, დევნილების საკითხებზე საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

- როდის ჩამოხვედით პირველად საქართველოში?

– პირველად აქ ჩამოვედი 1989 წელს, როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრანტი, ქართული ენისა და კულტურის ისტორიის შესწავლის მიზნით. ეს იყო 9 აპრილით გამოწვეული კრიტიკული პერიოდი და აქ მაშინ, 9 აპრილის გარდა, ჩემთვის ყველაფერი ზღაპრული იყო. ჩამოსვლამდე ვფიქრობდი, რომ დამხვდებოდა რაღაც რუსული ყაიდის ქვეყანა, მაგრამ, დამხვდა საოცრად თბილი, კარგი მხარე, რომელიც, მიუხედავად



ლევილის მამული

დატრიალებული უბედურებისა, მედგრად იდგა და თავის სახეს არ კარგავდა. ბევრი მქონდა საქართველოზე წაკითხული, ბევრ ქართველს ვიცნობდი ნიუ-იორკში, საფრანგეთში ჩემს ქართველ ნათესაობასთან სულ მქონდა კავშირი და, აქედან გამომდინარე, მეგონა, საქართველოს ვიცნობდი, მაგრამ, აღმოვაჩინე, რომ არ მცნობია. ეს 22 წლის წინ მოხდა და ამ ჩამოსვლის შედეგი სახეზეა – დღეს ვარ აქ, მყავს ქართველი მეუღლე და შვილი.

- არ გაგიჭირდათ ქართველის ცოლობა?

– ჩემი მეუღლე, ალექსანდრე კვიტაშვილი იშვიათი ადამიანი და კარგი ქართველია. ძალიან კარგად იცის ამერიკული კულტურაც, უყვარს ნიუ-იორკი – ნიუ-იორკის უნივერსიტეტში აქვს დამთავრებული ასპირანტურა. ისე კი, რა თქმა უნდა, ქართული თვისებები აქვს და ეს ასეც უნდა იყოს.

– რას გვეტყოდით ორგანიზაცია „ნოე გრუპზე“, რომელსაც ხელმძღვანელობთ? რაზე მიგვანიშნებს მისი ემბლემა – დამოუკიდებელი საქართველოს გერბი ამერიკის შეერთებული შტატების დროშის ფონზე?

– „ნოე გრუპი“ ბაბუაჩემის – ნოე უორდანიას პატივსაცემად დავარქვი. ორი წელია, დავაფუძნე და ინვესტორები ჩამომყავს საქართველოში. მე მათ საწყის ეტაპზე ვეხმარები: ვახვედრებ ქართულ მხარესთან, დამყავს საქართველოს კუთხებში – იქ, სადაც არის ინვესტიციების ჩადების საშუალება; ვეხმარები ბანკებთან ურთიერთობაში, ადვოკატების აყვანაში. კმაყოფილები არიან, ბევრმა დაიწყო აქ ბიზნესი. ბოლო ორი წელია, ბევრი ადამიანი ჩამოვიდა, ძირითადად კი ის ხალხი



ისტორიას ფურცლებზე

ჩამოდის, რომლებთანაც პირადი ნაცნობობა მაკავშირებს.

— ახლა მამაზე მომიყევით. ვიცი, რომ დიდი მეგობრებიც ხართ და ძალიან დიდი წვლილი მიგიძლვით იმაში, რომ რეჯები, როგორც ქართველი, როგორც მწერალი და როგორც პიროვნება საქართველოს დაბრუნებოდა. იგი, თავის წიგნში „გავიზარდე ლევილში“ წერს, 40 წლამდე საფრანგეთში ვიყავი, მერე კი ჩამოვიდა ძალიან ლამაზი ნიუიორკელი ქალი და სამუდამოდ ამერიკაში წამიყვანაო.

— დიახ, დედაჩემიც და მისი მშობლებიც ნიუიორკელები იყვნენ, მამა კი საფრანგეთიდან ჩამოვიდა. ბავშვობაში ის ჩემთვის ყველაფერი იყო. მე და ჩემი და, თერი, გულის ფანცქალით ველოდით შაბათ-კვირას, რადგან მამას დაყვავდით მუზეუმებში, ლაშერობებზე, ყველან, სადაც ბავშვი ფიზიკურად თუ ინტელექტუალურად ვითარდება. მისით ვიყავი და ვარ აღფრთოვანებული. ძალიან ვაფასებ. რაც თავი მახსოვს, მამა ყოველთვის აქტიური პიროვნება იყო. თბილისში ხშირად ჩამოდის. ამ ზაფხულსაც ჩამოვიდა, წიგნის პრეზენტაცია ჰქონდა – „პროსპეროს ბუჟში.“

— რას გვეტყვით თქვენს დაზე?

— მას თერი ჰქვია და ვაშინგტონში ცხოვრობს. საქართველოში სამჯერ იყო ჩამოსული. მოსწონს ქართული და იცის ბევრი სიტყვა. სახლში ხშირად ჰყავს ქართველი სტუმრები – სტუდენტები, ასპირანტები. ძალიან უყვარს ჩემი შვილი. წელიწადში ერთხელ აუცილებლად ვხვდებით ერთმანეთს, მანამდე კი ინტერნეტით ვურთიერთობთ.

— ისიც ქართული ოჯახის შექმნას ხომ არ აპირებს?

— არ ვიცი, ეს მას უნდა ჰქითხოთ.

— თქვენ ნიუიორკელი ბრძანდებით. რას ნიშნავს, იყო ნიუიორკელი?

— დავიბადე, ნიუ-იორკში და მის გარეუბანში გავიზარდე. ძირითადად, განათლებაც იქ მივიღე. თუმცა, გსწავლობდირუტჯერსისუნივერსიტეტშიც (ნიუ-ჟერსის შტატში), ქოვენტრშიც (ინგლისი) ასპირანტურაში, ვაშინგტონშიც და სხვაგანაც ბევრგან ვიყავი, მაგრამ, ყოველთვის მაინც ნიუ-იორქში ვპრუნდები. მე და ჩემი ქმარიც ერთი წელი ვცხოვრობდით იმ ქალაქში, შვილიც იქ შეგვეძინა. ნიუიორკელობა ნიშნავს საერთაშორისობას, აქტიურობას, სიცოცხლეს, უდერადობას, სხვადასხვა ხალხთა და კულტურათა ყოფნას შენ გვერდით, იმის განცდას, რომ ყველაფერს შეძლებ... გაძლევს ფართო განათლების მიღების შესაძლებლობას, მოკლედ, იქ მსოფლიო იგრძნობა.

თუ ხარ ნიუიორკელი, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა არ გჭირდება – ყველაფერი ადგილზე გაქვს. აი, ამიტომ მიყვარს ის. ჩემთვის ნიუ-იორკი ბევრი ხალხიცაა, ხმაურიც და ამ ყველაფერს ისე ვარ შეჩვეული, რომ თბილისშიც, შუა ქალაქში ვარჩიე ცხოვრება და ვაკეში ვცხოვრობ.

— ახლახან, საქართველოზე გაბრაზებულმა ერთმა ინგლისურის მასწავლებელმა (გვარად ფლეთშერმა) „იუთუბიზე“ კლიპი დადო, სადაც ქართველი ქალების ჩაცმულობას დასცინის, ხოლო ავსტრიელმა ქალბატონმა ერთ ქართულ გამოცემას განუცხადა, ქართველ ქალებს ევროპაში ჩამოსული რუსი „პროსტიტუტებივით“ აცვიათო. რით გვანუგეშებთ, მართლა ასე გვაქვს საქმე?

— მე პირადად, ქუჩაში რომ გავდივარ, წარმოუდგენლად გემოვნებითა და ლამაზად ჩაცმული ქალები მხვდებიან. განურჩევლად ასავისა, ვხედავ ლამაზ ქალებს. ჩემი მეგობარი ამერიკელი ქალები, რომლებიც აქ მუშაობენ, ხშირად აღნიშნავენ იმას, რომ მათ ისე კარგად არ აცვიათ, როგორც ქართველ ქალებს. შეიძლება, დიდად ვერ ვერკვევი მოდაში, მაგრამ, ქუჩაში გასული მაშინვე ვხვდები, რომ ახლა 70-იანი წლების სტილია შემოსული. ეს ის ქვეყანაა, რომელიც მოდას უმაღვე ირგებს ტანზე. კარგად ვიცი, როგორ აცვიათ ნიუ-იორკში, როგორ აცვიათ ევროპაში. მაისში პარიზში ვიყავი და, შემიძლია, გითხრათ, რომ თბილისი და, საერთოდ, საქართველო იმ ქალაქების რიგში დგას, რომლებიც ახლა ჩამოვთვალე.

— თქვენს შვილს, ნიკოლოზ კვიტაშვილს, ძალიან დაკავებული მშობლები ჰყავს. როდის ახერხებს ბავშვი თქვენს ნახვას?

— ყოველდღე. როცა სანდრო მინისტრი იყო, უფრო ნაკლები დრო ჰქონდა და მაშინ იყო ეგ პრობლემა, ახლა დროზე ახერხებს სახლში მოსვლას. მე კი ნიკოლოზს დილით, შუადღეს და საღამოს ვხედავ.

— როგორი ბიჭია ნიკოლოზი?

— კეთილი, ჭკვიანი, ლამაზი... მოკლედ, ძალიან კარგი ბიჭი გვყავს. 6 წლის არის და ქართულს მასწავლის. სამზარეულოში გვაქვს დაფა, რომელზეც ჩამომინერს ასოებს და მეკითხება: „ეს რომელი ასოა“?

— „ტ“, – ვეუბნები მე. „ტ“ კი არა „თ“, – მასწავლის ის. როცა არასწორად ვამბობ სიტყვას „ქაცი“, ის უმაღვე მისწორებს: „კაცი!“ აი, ასეთი კაცია ჩვენი ნიკოლოზი. ძალიან მონდომებულია, რომ გამართული ქართულით ვიმეტყველო.

ისტორიის ფურცლებზე

- მეუღლის მშობლებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

- ძალიან კარგი. მიყვარს ჩემი დედამთილმამამთილი, ძალიან კარგი ადამიანები არიან. ჩემი ტკივილი და სიხარული გულთან ახლოს მიაქვთ. ცალკე კი ვცხოვრობთ, მაგრამ, ვართ ერთი ოჯახი, სულ მისვლა-მოსვლასა და ერთმანეთის მოკითხვაში.

- ეტყობა, კარგი მზარეული ხართ, თორემ, მარტო უორდანიობით ვერ დაიმსახურებდით კარგ რძლობას...

- ლობიოს გაკეთება ვიცი.

- მაშინ, მჭადიც გეცოდინებათ.

- დიახ, საქართველოში პურზე რიგები რომ იყო, მაშინ ვისწავლე მჭადის გამოცხობა, მაგრამ, დრო არ მაქვს და, ამიტომ, ვყიდულობ. საცივი იმიტომ არ ვისწავლე, რომ ძნელია. სიყვარულით, მეგრული გებულია მიყვარს, ასევე, ყველანაირი ფხალი, ხაჭაპური.

- ნიუ-იორკში როცა ხართ, რას ყიდულობთ?

- ოოო, იქ ძალიან ბევრი რამ მიყვარს, რომელი ერთი ჩამოვთვალი: მიყვარს ნიუ-იორკის პიცა, ბეგილები (გამომცხვარი ხვეულა), ყველის კრემი, ნიუიორკული ყველის ნამცხვრები...

- და ეს ყველაფერი თბილისში არ არის?

- მენიუებში კი არის, მაგრამ, ისეთი არაა, როგორც ნიუ-იორკშია.

- უორდანიებს თუ ჰყავთთბილისში ნათესავები და თუ გაქვთ მათთან ურთიერთობა?

- კი, ბევრთან მაქვს ურთიერთობა, მაგრამ, ერთადერთი ადამიანი, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს და მას შემდეგაც ჩვენთან ამყარებდა კავშირს, იყო ცირა გუგუშვილი, რომელიც ერთი კვირის წინ გარდაიცვალა და გული საოცრად დაგვწყვიტა არა მარტო ჩვენ, უორდანიებს, არამედ, სანდროც (მეუღლე) და მისი მშობლებიც ძალიან განიცდიან ამ ამბავს. ცირას დედა, თინა უორდანია და მამიდაჩემი – ასმათი (ატია), ერთად იზრდებოდნენ ლანჩბუთში. შემდეგ თბილისშიც ერთად იყვნენ მანამ, სანამ პაბუაჩემი ნოე უორდანია საქართველოს დატოვებდა. ისინი ბიძაშვილებიც იყვნენ და მეგობრებიც. საბჭოთა დროს კი, როდესაც ძალიან საშიში იყო უცხოეთთან კავშირის დამყარება, თინა უორდანია, შემდეგ კი მისი ქალიშვილები – ცირა და მარინა გუგუშვილები, მაინც ახერხებდნენ ჩვენთან ურთიერთობას. როცა 1989 წელს თბილისში პირველად ჩამოვედი, გამაცნეს დები გუგუშვილები და იმ დღიდან ისინი გახდნენ ჩემი უახლოესი ნათესავებიც,

მეგობრებიც. ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ ცირა აღარ არის. მე ის საქართველოსთან მყავდა გაიგივებული...

- ძნელია, როცა კარგავ მეგობარს... აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ხომ არ ყოფილხართ?

- ომამდე 3-ჯერ ვიყავი აფხაზეთში. ომის შემდეგ კი ვიყავი ცხინვალში. მაშინ ვმუშაობდი საერთაშორისო ორგანიზაციაში „დაიცავი ბავშვი“ და იქ მოსახლეობის დასახმარებლად ჩავედით. მიყვარს მხოლოდ ერთიანი საქართველო, არ მიყვარს ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რადგან იქ ქართველები აღარ არიან.

- რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

- ქუჩის ბავშვებით ვარ დაკავებული.

- ეს როგორ გავიგოთ?

- ვარ ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ საბჭოს წევრი. ეს ის ორგანიზაცია, რომელიც გულისხმობს ქუჩის ბავშვების მრავალმხრივ დახმარებასა და მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას. როგორც საბჭოს წევრი, ბევრ რამეში ვეხმარები მათ, კერძოდ კი, პროექტების განხორციელებაში, პროექტებისთვის ფინანსების მოპოვებაში.

- და, ბევრი ასეთი ბავშვია საქართველოში?

- ბევრია. ზოგს კი ჰყავს მშობელი, მაგრამ, უუნარობა და ვერ უვლის. ასეთი ბავშვები ყველგან არიან და, შესაბამისად, ცენტრებიც სხვადასხვა ქალაქშია გახსნილი: ჭიათურის ცენტრს „ჯეჯილი“ ჰქვია, რუსთავისას – „საპოვნელა“, თბილისში გვაქვს „ბელურები“, „ცისარტყელა“, „ლანჩბუთშიც“ არის ერთი ცენტრი. მათი ცხოვრების შეცვლაზე ზრუნავენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა: „დაიცავი ბავშვი“ და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო. როცა დრო მაქვს, ყოველთვის მივდივარ ცენტრში „ბავშვი და გარემო“ და ვეხმარები. ახლაც იმათგან მოვდივარ.

და, ბოლოს...

ნიკოლ უორდანიამ იპოვა ის ზღაპრული ქვეყანა, რომლითაც ნიუიორკელ გოგო-ბიჭებთან თავს ინონებდა. შემდეგ ამ ქვეყნის სასიკეთოდ დასაქმდა. სიყვარულიც აქ იპოვა, დაოჯახდა და ლამაზი და ჭკვიანი ქართველი ბიჭის დედა გახდა. ამჟამად ჩამოჰყავს ინვესტორები და ამით აძლიერებს თავის ქვეყანას. უყვარს მხოლოდ ერთიანი საქართველო. თავისუფალ დროს კი, ცივ რეალობას შეჯახებულ გოგო-ბიჭებს ზღაპრული სამყაროს შექმნაში ეხმარება.



პროფესორ ერებულეანის კაბინეტი .საათაყოდ გამოგონილი მითია თუ სიცადვილე?

1962 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ქართველი გინეკოლოგი და რეპროდუქტოლოგი იოსებ შორდანია. ბრაზილიაში საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციიდან სამშობლოში მომავალი ავიაკატასტროფას ემსხვერპლა. უცხოეთში გაფრენის წინ პროფესორმა მთელი დღე მეგობარ თენიში ბოლქვაძესთან და ვაჟთან, კირილე უორდანიასთან გაატარა. მაშინ ბიჭუნა ათი წლის ყოფილა. ბავშვს გულუბრყვილოდ უკითხავს მამისთვის, ცურვა რომ არ იცი, არ გეშინია? თვითმფრინავი რომ წყალში ჩავარდეს, ხომ დაიღუპებიო... ბავშვის ავი წინათვრძნობა გამართლდა - მოგვიანებით, პროფესორის ცხედარი სამშობლოში ჩამოასვენეს...

იმ საბედისნერო დღეს, 20 ივნისს, თვითმფრინავი „დუგლასი“ დაგეგმილ რეისს ასრულებდა ბუენოს-აირესიდან რიო-დე-ჟანეიროსა (გალეას აეროპორტი) და ლისაბონში. გალეას აეროპორტში მშვიდობით დაეშვა. 23 საათსა და 3 წუთზე ხომალდი ასაფრენად მოემზადა, რომ პილოტმა გამოაცხადა, პრობლემა გვაქვსო - თვითმფრინავის ცხვირი არ ტრიალებდა... პილოტი მიხვდა, რომ ხომალდი ბილიკის დარჩენილ ნაწილზე ვერ გაჩერდებოდა და მარჯვნივ გადაუხვია... შასის ბორბლები ქვიშაში ჩაეფლო, ოთხივე ძრავამ დაკარგა ეჟექტორები და მობრუნების კონუსები, რამაც თვითმფრინავი ააჩქარა - დაეჯახა აეროპორტის კედელს, გადაკ-

ვეთა მეზობელი ბილიკი და საბოლოოდ ოკეანეში ჩაეშვა. ჯერ ნაპირთან ახლოს, 100 მეტრში დრეიფობდა, შემდეგ კი 8 მეტრის სიღრმეზე ჩაიძირა. ერთი შეხედვით, მდგომარეობა არც ისე რთული იყო, რომ ვინმე დაღუპულიყო. მიუხედავად ამისა, ავიაკატასტროფას 15 ადამიანი ემსხვერპლა - ერთი ეკიპაჟის წევრი და 14 მგზავრი... გადარჩენილი მგზავრებიდან ერთ-ერთმა, ან გარდაცვლილმა პროფესორმა პავლე შუშანიამ საზოგადოებას იოსებ უორდანიას უკანასკნელი წუთების შესახებ უამბო:

„როდესაც თვითმფრინავი წყალზე გაჩერდა, მგზავრებმა (რომ არ დამძიმებულიყვნენ და წყალში არ ჩაძირულიყვნენ) ტანსაცმელი გაიხადეს და მაშველ რგოლებს ეცნენ. მე და იოსებ უორდანია თვითმფრინავის ფრთაზე ვიდექით. ამაოდ ვეხვენებოდი, მომეჭიდე და ნაპირამდე გაგიყვან-მეთქი. თავი გააქინა, ასე ორივე დავიხრჩობით, სჯობს, თავს უშველოო. მან არც ცურვა იცოდა და მაშველი რგოლიც არ ჰქონდა - თვითმფრინავის სალონიდან გამოსვლამდე პატარა გოგონას მისცა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, უბილეთო იყო და სავარაუდოდ, მაშველი რგოლიც ამიტომარ ჰქონდა. ლაინერი თანდათან მიინევდა ფსკერისკენ. ისდა დამრჩენილდა, მარტო გამეცურა ნაპირისკენ. ცურვა რომ სცოდნოდა და ცოტაც გაეძლო, მაშველი მასაც მიუსწრებდა“.

გმირი

კატასტროფის დროს სომეხი პროფესორი აშოტ აგარონოვიც დაიღუპა. ის და უორდანია ერთი ასაკის, 67 წლის იყვნენ. მოხუცმა პროფესორმა, იმ იმედით, რომ მაშველი მიუსწრებდა, არჩია თვითმფრინავში, სკამზე მიბმული დალოდებოდა ბედისწერას...

სამწუხაროდ, შუშანიამ არ იცოდა გადარჩენილი გოგონას ვინაობა. თენგიზ ბოლქვაძის მოგონებებში ვკითხულობთ: „შუშანია ამბობდა, რომ ბავშვი დაახლოებით ექვსი წლის იყო. ეკიპაჟის წევრებისგან ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ გოგონა მათთვის ჩაებარებინათ და უთქვამთ, რომ აეროპორტში დახვდებოდნენ...“.

მიუხედავად შუშანიას მონათხრობისა, უორდანიას დაღუპვიდან მალევე, საქართველოში გამოჩენილან სკეპტიკოსები, რომლებსაც პროფესორის გმირობაში ეჭვი შეუტანიათ. ამ ამბავთან დაკავშირებით დღემდე არსებობს მითქმა-მოთქმა. უორდანიას გმირობით რუსი ბლოგერიც დაინტერესდა. შეეცადა, დაედგინა, მართლა გადაარჩინა ქართველმა პროფესორმა უცნობი გოგონა, თუ ეს "საბჭოთა ზღაპარი" იყო. „ლაივურნალში“ 2012 წელს დაბეჭდილ კვლევაში ბლოგერი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ უორდანიას ამბავი ქართველებმა პროფესორის განსაზღვეულად გამოვიგონეთ, მასთან ერთად დაღუპული ცნობილი პროფესორის, აშოტ აგარონოვის, თანამემამულე სომხებს კი მსგავსი ზღაპრის „მოგონება არც უცდიათო...“

ბლოგერი არა თვითმხილველებისგან მოსმენილ, არამედ ინტერნეტში მოძიებულ მწირ ინფორმაციას ეყრდნობა. ინტერნეტში არსებული ოფიციალური ცნობით არ ჩანს, რომ რიო-დე-ჟანეიროდან აფრენილი „დუგლას ჩ-8-33“-ის ბორტზე უბილეთო მცირეწლოვანი იყო.

შევეცადეთ გაგვერკვია, ვის შეეძლო ფაქტებზე დაყრდნობით მოეთხოო, რა მოხდა 1962 წლის 20 ივნისს. იოსებ უორდანიას ერთადერთი ვაჟი კირილი, რომელიც მამის კვალს გაჰყვა და ახლა მოსკოვში ცხოვრობს, მაშინ მცირეწლოვანი იყო, მოგვიანებით კი თავმდაბლობის გამო არ უცდია მამის გმირობის კვლევა... ყველაზე მეტი მისი საქმის ერთგულ გამგრძელებელს, უორდანიას

სახელობის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, არჩილ ხომასურიძეს სცოდნია. მას შემდეგ, რაც უორდანიას გმირობის გაქარნებას შეეცადნენ, პროფესორს კვლევადაუწყიდამოსკოვშიც ჩასულა „დუგლას ჩ-8-33“-ის მგზავრების სანახავად.



არჩილ ხომასურიძე: - გადავწყვიტე, გავ-საუბრებოდი იმ ადამიანებს, ვინც ბოლო წუთებში უორდანია თვითმფრინავის ბორტზე ნახა. მაშინ, 25 წლის წინ, ცოცხალი იყო სამი ქალბატონი, სამივე ცნობილი პროფესორი. მათ მიამდეს, რა გააკეთა უორდანიამ სიკვდილის წინ. როცა თვითმფრინავს რყევა დაუწყის, სალონში პანიკა ამტყდარა, დაბნეული ხალხი საავარიო გასასვლელს მისწყდომია. სწორედ ამ დროს ქალბატონებმა თვალი მოჰკრეს ატირებულ გო-გონას, რომელსაც კამერა არ ჰქონდა და ირგვლივ მყოფი საშველადუხმობდა... უორდანიამ პატარას თავისი კამერა უყოყმანოდ მისცა... იმის გამო, რომ თვითმფრინავი ნაპირთან ახლოს იყო, ამ ამბის შემსწრეთ უფიქრიათ, ალბათ, პროფესორი კარგად ცურავს და ამიტომაც დაუთმო რგოლი გოგონასო... მოგვიანებით გაიგეს, რომ ქართველი გმირი დაიხრჩო... იმ გოგონას ვერ მივაეგნი, თუმცა, ქალბატონები იხსენებდნენ, რომ ტრაგედიიდან ათი წლის შემდეგ ტურისტად ჩამოსულა მოსკოვში და უორდანიას საფლავს ეძებდათ... ქალბატონებს არ ახსოვდათ მისი სახელი და გვარი...“

ვინც იოსებ უორდანიას ცხოვრებას იცნობდა, არასდროს შეეპარებოდა ეჭვი პროფესორის გმირობაში. ის იყო ექიმი, რომელმაც ქალთა და ბავშვთა კეთილდღეობას არა მხოლოდ მთელი სიცოცხლე, სიკვდილიც კი მიუძღვნა. სამწუხაროა, რომ მისი ხსოვნის შებლალვა ჯერ საქართველოში ხცადეს და შემდეგ რუსებმა განაგრძეს. ვიღაცამ ვერ აიტანა, რომ მაშველი რგოლი პროფესორის გმირობის შარავანდედად იქცა...“

ეკა ლომიძე



ა გოგონას შესახებ იცეარებული მოვიქია ასაღა, არაველიც ჩანახაშის სახით არს დაწერილი და გამოყენებულია ა გრაფიკისადმი მიძღვნილი პროცესის დასახი. ცერიტის გოლო ცენტრ არ ვაჟვევები, არავან მიმართ, არა კართველი კაბის მიზან ავეჯა თავანენის ურნებების ჩვენს ეს ჩრდილ მისახევა, თუმცა უაპში, არა ცერიტის დავისტისაგან ის კარიზმი უსაძლებელია მოვალეობის მომზადება...

აჯაღი რგოლი

3 უძველი იოსებ ურალიას ხსოვნას

„ჩევნ მივფრინავთ ატლანტიის ოკეანის თავზე. გთხოვთ, ჩაიცვათ მაშველი უილეტი. ხომალდის

მეთაური ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ.“ - გაისმა სალონში სტიუარდესას სასიამოვნო ხმა.

მგზავრები აჩოჩოლდნენ, მაგრამ მალევე მიწყნარდნენ.

- თქვენ გოგონას რატომ არ ჩაცვით უილეტი?
- მიმართა შუახნის მამაკაცმა გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალს.

ქალმა უდარდელად აიქნია ხელი:

- აპ! რა საჭიროა? - ისე თქვა თითქოს ფეხით მისეირნობდა ბულვარში - ესეც არ იყოს, ის ხომ მხოლოდ ხუთი წლისაა, თანაც უბილეთოა. უბილეთო მგზავრებზე კი „უილეტი“ არ გაიცემა.

მან თავზე გადაუსვა შვილს ხელი და მიუალერსა.

ბავშვმა დედას კისერზე შემოაჭდო ხელები და აკოცა. მერე უცნობ ძიას მიაშტერდა.

მამაკაცმა გაუღიმა.

ქალმა მაშინვე დაიჭირა მათი მზერა:

- სადაური ბრძანდებით? - ჰკითხა მამაკაცს.
- კითხვა კი გაიგო, მაგრამ მცირე ხნით მაინც შეყოვნდა, დაფიქრდა, როგორ ეპასუხა, მერე კი ინგლისურად ნარმოთქვა:

- მე, ქართველი ვარ! ეს სიტყვა რამეს გეუბნებათ?
- მე კი ბრაზილიელი. ე.ი. თქვენ ამერიკელი ბრძანებულხართ.

რატომ ამერიკელი?

ჯორჯია ხომ ამერიკაშია?

- ა-ა-ა! - გაედიმა მამაკაცს - ერთი ჯორჯია საბჭოთა კავშირშიც არის, კავკასიაში ... სამხრეთ კავკასიაში. ჩევნ ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ დედამინაზე.

ქალს გაკვირვება არ გამოუხატავს, თუმცა არც აღფრთვანებულა. თავი დაუკრა და გაეცნო:

- დონარა მქვია. პროფესიით კი ბიოლოგი ვარ.
- მამაკაცს თავის ნარდგენა უნდოდა, მაგრამ ქალმა განაგრძო:

- სიმართლე გითხრათ, კავკასიაში არასდროს ვყოფილვარ. ტიანშანსა და ტიბეტში მრავალჯერ. ოთხი მწვერვალიც დავიპყარი. მათ შორის შვიდი დიათას შვიდასიანიც ... ულუზმუგთაგი.

- სასიამოვნოა! - თქვა მამაკაცმა.

- რა არის სასიამოვნო? - იკითხა ქალმა.

- თქვენი გაცნობა, მის!

- თუ ჩემი მთამსვლელობა?

- ერთიც და მეორეც. თუმცა ჩემს ქვეყანაში მთამსვლელობა, თანაც ქალისა, არავის უკვირს.

ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში, კავკასიის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე, მამაკაცებთან ერთად ჩემი თანამემამულე ქალიც ავიდა.

- მე კი მეგონა, რომ ჩემი მთამსვლელობით გაგაოცებდით. თქვენ, ჩემ ინტერესს ინტრიგა შემატეთ. სურვილი გამიჩნდა კავკასიონის დალაშქვრისა.

- მის, პირველ რიგში თქვენ უკვე გამაოცეთ. ისეთი მომხიბლავი ხართ, ნამდვილად „დაიპყრობთ“ კავკასიას - მამაკაცმა პიჯაკის ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოაცურა და გაუწოდა - თუ კი ოდესმე გელირსათ საქართველოში ჩამოსვლა, ჩემისტუმარი იქნებით ... ეს კუდრაჭაც ნამოიყვანეთ.

მან ისევ გაუღიმა პატარას.

ბავშვმა ხელი დაადო მხარზე.

დედა გაუწყრა:

- ნუ ცელქობ, დორა!

- ეგ კეთილი ადამიანი გაიზრდება - თქვა მამაკაცმა - ასე, რომ თუ ჩევნთან ჩამოხვალთ, მე გაჩვენებთ „სამოთხეს“ დედამინაზე ... ტიბეტი ვერ შეედრება მას.

ქალმა სავიზიტო ბარათს დახედა და ამოიკითხა:

- იოსებ უორდანია, გინეკოლოგი. საბჭოთა საქართველო - მერე კი თქვა - არა, ტიბეტი სულ სხვაა. ამას ენით ვერ აღწერს ადამიანი.
- მომეცით ბავშვი, მე დავიკავებ.
- უხერხულია, გაგაწვალებთ. იცით, მას მამა არა ცყავს. შარშან დაგვეღუპა ავტოკატასტროფაში.

ანაბეჭდი

მამაკაცს გული ჩასწყდა, ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და სახელი ჰქონდა:

- რა გქვია პატარა ქალბატონო?
- დო-ლა! - თქვა ბავშვმა.
- აი, რა, დო-ლა - გამოაჯავრა მამაკაცმა
- დედაშენს უთხარი, აუცილებლად განახოს საქართველო. ის ხომ მარიამ ღვთისმშობლის წილადაც არ გამოავარი ქვეყანაა.

ქალს გაელიმა და მოიბოდიშა:

- მომიტევეთ, მისტერ იოსებ! თქვენ ვერ

გამიგეთ. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოც ლამაზია ... გაძლევთ პირობას აუცილებლად ჩამოვალთ. უფალი მოგვცემს ამის შესაძლებლობას. დაგვაკავშირებს თქვენს ქვეყანასთან.

- ეჱ! ქალბატონო! სამწუხაროა, რომ თქვენ არ იცნობთ ჩვენს ისტორიას. არც გმირ წინაპრებს. თუნდაც ცოტნე დადიანს, რომელმაც პუმანიზმს ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა გმირობის სახით.

მან ჩაახველა და შოთა ნიშნიანიძის ლექსის კითხვა ქართულად დაიწყო:

„შეერდშენ რეული ბოინგი მკვდარ კეშაბიგით ტოკავს,
ზღვა თავზე წაუხურია, როგორც კეისარს ტოგა.
ჯგლეთა ... ევირილი ... ჩოჩქოლი ... და განწირულთა შიში,
ჯერ კიდევ აუფეთქებელ ნაღმის წააგას შიშნეს.
ისერის შეურმანი ბრძანებებს ... მაშველ რგოლიგით ისერის,
ჟილეტს იცვამენ ... მებნა აქვთ სეამის ნატების ... ფიცრის.
კარს აწევებიას ზრიალით ... წელვაც იფოფრება სამტროდ,
იმ ცოდვის თრომტრიალში ძაღლი ვერ იცნობს პატრონს.
უბილეთოა გოგონა და უშირეულეს ერველის
არც ჟილეტი აქეს საბრალოს და არც მშველი რგოლი.
ვიღაცამ რგოლი მოიხსნა ... თავი გადადო მსხვერწლად ...
და იმ წამს შარავანდედი საკუთარ ხელით ეპერა.



ეოთა ნიშნიანიძე

„დედანით“ გაგზარდეს, მეგრულ იავნანურით,
ავთანდილის ანდერმით, ცოტნებ ცხენის თქარუნით.
საწელ სარის ტირილით, ჩიორას სიბრალულით,
მაგრამ ზირველ ერველისა ბავშვების სიევარულით.
ფრთუებს ისხამდნენ ქართული ჯეჯილ-სალამურები,
მგლის ლექები ქართული, ქართული ამურები.

III

თქვენ დიდი ერის შეილი სართ, ო, დიდი ერის მისის.
ქვეუანამ იცის ამიტომ დიდებულება მისი.
თქვენ დიდი ქვეენის შეილი სართ, მაგრამ იცოდეთ ბარქმ.
არის ბატარა კოლხეთიც - დიდთა რაინდთა შეარე.
მისის, თქვენ უპევ გათხოვდით, თქვენ უპევ გქვიათ დედა,
ბედნიური სართ მვირფასო, ბეგნიური სართ შეტად.
და ვინც სიცოცხლე გაჩუქათ თუ გაგონდებათ ნეტავ?
თქვენ გესიზმრებათ ის კაცი და ვერც ივიწევებოთ რადგან,
მაშველი რგოლი იმ სულმანს შარავანდედად ადგას.
მობრძანდით, როგორც შეილობილს,
ისე მიგიღებთ მისის,
მობრძანდით, მეგლი ერი ვართ,
ვის როგორ დაუხვდეთ ვიცით.
გვიუგარს მზე, მთვარეც ქართული, მაგრამ ორივე მგონი,
ცად გვიკიდია სტუმრისთვის, როგორც მაშველი რგოლი.

ანაბეჭდი

ქალი სულგანაბული უსმენდა, ლექსის
უღერადობამ გააოცა, თუმცა ვერაფერი გაიგო.
თავი ვარ შეი კავა და აღმტავაბისაგან ჭაში შემოკრა:

- იცით? მე არასოდეს მსმენია ქართული. ხომ ვერ ამიხსნით, რომელ ენათა ჯგუფს განეკ უთ ვნება? ლათინურსა თუ არაბულს? ან იქნებ თურქულს?

მამაკაცს გაელიმა. ღიმილით გამოხატა
უარყოფა:

- ქართული ენა თვითმყოფადია. კავკასიურ-იბერიულ ენათა ჯგუფიდან ... ჩვენ გვაქვს დამწერლობა, რომელიც იმ თოთხმეტთაგანია, რომლითაც ურთიერთობს კავკაბრიობა.

- მისტერ იოსებ! ლამაზი ენა ყოფილა ეგ თქვენი ძართლი, თუ შეიძლება კიდევ წამი კითხვაზ რამა.

ქალი სავარძელში გათანხმა და სმენად იქცა.

თვითმმარინავი მოულოდნელად შეინჯონა.

ՀՅՈՒՍՅԱՎԱՐՆԱՎՐԱՋԱՆԱԿԱՐԱՎՈՐ ՏԱՐԱԾՈՒՅԹ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

სტიუარდესას შეშფოთებულმა ხმამ მყისიერად
შეაფხნიზლა საშინელების მოლოდინში გარინდული
ადამიანები: „თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა,
ჩვენ ვეშვებით ოკეანეზე, ჩაიცვით მაშველი
ჟილეტები. დაემორჩილეთ მეთაურის ბრძანებას.“

ირგვლივ ერთბაშად აირია ყველაფერი.

სალონში ისტერიული კივილი გაისმა:

- უილეტი! ჩემს შვილს არ აძვს მაშველი უილეტი.

იოსებ უორდანიამ თასმები ფრთხილად შეიხსნა
და უიღეტი დორას ჩააცვა. შუბლზე აკოცა და
უთხრა:

- შენ უფალმა მარიამ ღვთისმშობლის წილნაყარ ქვეყანასთან დაგაკავშირა. ღირსეულად ატარე ეს მძიმე ტკირთი.

შესინებული ბავშვი ყელზე მოეხვია:

- მამა! - წარმოთქვა ხმამაღლა.

ცრემლები მოადგა თვალებზე მამაკაცს. ბედნიერების ცრემლები ... იგი მიხვდა, რომ უფალმა მისი სიცხლე ითხოვა ბაგშვის სიცოცხლის სანაცვლოდ.

უფალმა სიცოცხლე ითხოვა.

ეს ხომ წმინდანთა ხვედრია მხოლოდ ...

კისფერი სული აფრინდა ატლანტიის ოკეანიდან.

საქართველოსკენ გაფრინდა ცისფერი სული.
კატასტროფაგადატანილი მგზავრები გემბანის
ერთ კუთხეში შეყუილობინენ.

მუხლებში ჩამჯდარი ბავშვი დედას
ეტიტინებოდა:

-დედა, რა დაემართა ჩვენს თვითმფრინავს?

- (კიცხლი მოედო, შვილო!

- ის ძია საო არის?

- რომელი ძია, შვილო?

- ჩემი ძია, დედა!
 - ჰო! ის ზეცაშია, შვილო!
 - რატომ ჩამაცვა თავისი უილეტი?
 - უყვარდი და იმიტომ, შვილო!
 - შენ რატომ არ ჩამაცვი უილეტი?
დედამ თავი დახარა და აქვითინდა.
 - რად სტირი, დედა?
 - ის კაცი რომ არა ... ეჰ! შვილო! ...
 - ნუ სტირი, დედა! ... ის ჩემი მამა იყო?
 - არა, ის უფალმა გამოგვიგზავნა, შვილო! ...
 - საიდან გამოგვიგზავნა, დედა?
 - საქართველოდან, შვილო!
 - შორია საქართველომდე?
 - შორი, შვილო!
 - რატომ ვუყვარდი, დედა?
 - იმიტომ, რომ მას თავისი შვილები უყვარდა,
ილო!
 - აღარც მის შვილებს ეყოლებათ მამა?
 - აღარ ეყოლებათ, შვილო! ... ო, ღმერთო, ჩემო!..
 - რად ოხრავ, დედა?
 - მადლობა რომ ვერ გადავუხადე, შვილო!
 - ანი გადავუხადოთ მადლობა, დედა!
 - ეს, როგორ, შვილო? ის ხომ მკვდარია?
 - საქართველოში წავიდეთ და ჩემი ძიას შვილები
ახოთ.
 - კარგი, ასე ვქნათ, შვილო!
 - დედა ისევ აქვითინდა. შვილი მკერდში ჩაიკრა
უთხრა:
 - როცა შენთვის ჩემი უილეტის ჩაცმა მინდოდა,
დამანება, მამით ობოლს დედითაც ნუ
ააბლებო, მის! მისი პატარა სული ამდენ ტკივილს
რ გაუძლებსო ...
 - დედა! დედა! ჩემი ძია არ მოკვდებოდა, კეთილი
დამიანები არ კვდებიანო, ასე არ მასწავლე?
 - ასეგასწავლე, შვილო! ისინი სხვაშია გრძელებენ
ცოცხლეს ... ჩვენ ძიას ერს ასეთი გმირი ჰყავდა,
უფრე დადიანი, მის აკვანში გაიზარდა იგი ...
რთველები ცოტნეს აკვანში იზრდებიან, შვილო!..
 - ყორლანაშვილის აკვანშიც ხომ იზრდებიან
რთველები, დედა?
 - ჰო! ეს ზოგჯერ ასეა, შვილო!
 - რა თქვი, დედა?
 - ჯერ, შენ ამას ვერ გაიგებ, შვილო!
 - ლამაზია საქართველო, დედა?
 - ძალიან ლამაზი, შვილო!
 - როდის წამიყვან საქართველოში ?
 - მალე წაგიყვან, შენ ანი პატარა საქართველო
რ, შვილო! ...

တော်မြူး

თბილისის სახელმაწყო უნივერსიტეტი 97



1918 წელს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიისაგან გათვალისუფლებისთვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დაიბადა. მე-19 საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა.

უმაღლესი სკოლის შექმნის რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინტერესებს ახმარდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი პრივატ-დოკუმენტი ივანე ჯავახიშვილი. 1917 წლის

თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება.

12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეერება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაარსდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“ საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩინდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალი), დავით აღმაშენებლის სსენების დღეს გაიხსნა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის ნინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში.

ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინ აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიარიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონობელიანისა, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ლამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდრია ბენაშვილი, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი.

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.



ქართველი სახატის მეცნიერებელი

საქართველოს
გამორჩეული მეფე დავით IV
აღმაშენებელი დაიბადა 1073 წელს. იგი
მეფობდა 1089-1125 წლებში. დავითი იყო
გიორგი II-ისა და ელენეს ერთადერთი
ვაჟი. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური
ვითარების გამო მამამისი იძულებული
გახდა ტახტიდან გადამდგარიყო და
თავისი ძე 16 წლის ასაკში გაემეფებინა.
ახალგაზრდა მეფე ენერგიული,
განსხავლული და სახელმწიფო
საქმეებშიც გათვითცნობიერებული
იყო. მან არაერთი უცხო ენაც იცოდა.

XI საუკუნის 50-იანი წლებიდან
საქართველოს ძნელებელი შამი
დაუდგა; ქვეყანას ახალი საშიში
მტერი — თურქ-სელჩუკები მოევლინა. მრავალგზის
შემოსევების შედეგად მათ თითქმის მთელი ქვეყანა
ააოხრეს, დიდი და პატარა ტყვედ გარეკეს. შეწყდა ხვნა-
თესვა და მკა. ქვეყანა მოოხრდა და ტყვედ გადაიქცა.
მოსახლეობის დიდი ნაწილი ამონებდა. თურქ-
სელჩუკებმა ქართველებს მძიმე ხარკის გადახდა
დააკისრეს. ამ შემოსევებს ქართველებმა „დიდი
თურქობა“ უწოდეს.

მეფემ შემოიკიბა ერთგული და
დაიწყო ბრძოლა შინაური თუ გარეშე
მტრის წინააღმდეგ. მან შექმნა მუდმივი
ლაშქარი და კარგად
გაწვრთნა.




ჩაატარა სამხედრო რეფორმები,
1118-20 წლებში ჩრდილოეთ კავკა-
სიიდან გადმოიყვანა და საქართველოში
დაასახლა ყივჩალთა 40 ათასი ოჯახი.
მათგან მეფემ შექმნა მუდმივი ჯარი.
აგრეთვე ერთგულ მოლაშქრეთაგან
შეადგინა 5000-იანი პირადი გვარდია —
„მონა-სპა“.

1099 წელს დავითმა თურქ-სელ-
ჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. ქვეყანაში
დაიწყო ეკონომიკური და კულტურუ-
ლი აღმავლობა. ამის შემდეგ კი დავით
აღმაშენებელი საქართველოს სრული
გაერთიანებისათვის ბრძოლას შეუდგა.

დავითმა დაიბრუნა წართმეული ცი-
ხე-ქალაქები. საქართველოდან თურქ-
სელჩუკების საბოლოოდ განდევნის მიზნით 1121 წლის
12 ავისტოს დიდგორის ველზე გადამწყეტი ბრძოლა გაი-
მართა.

დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა 55
ათასიანი მეომრით დაამარცხა სელჩუკთა 300 000 -იანი
კოალიციური მუსლიმური ჯარი.

დიდგორის ბრძოლას იმდროინდელმა მემა-
ტიანემ „ძლევაი საკვირველი“ უწოდა.
აღსანიშნავია, რომ მუსლიმების წინააღმდეგ
ევროპელი ჯვაროსნების რვავე ლაშქრობა
უშედეგოდ დამთავრდა და მხოლოდ
დავით აღმაშენებელმა შეძლო უძლეველი
მუსლიმური ლაშქრის განადგურება.



ହାତରମ୍ବା

სოსილი



დიდგორის გამარჯვების შემ-
დეგ, დავითი კვლავ აგრძელებდა
დაკარგული ტერიტორიების შემოე-
რთებას. 1122 წელს მან 400 ნლანი
ბატონობიდან გაანთავისუფლა თბილისი
და დედაქალაქი ქუთაისიდან კვლავ
თბილისში გადმოიტანა.

დავითმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა
სამონეტო საქმის გასავითარებლად. 1123 წელს,
ანისის ადგის შემდეგ, „სომეხთა მეფის“ ტიტული
მიიღო, რასაც გვაუწყებს მის მიერ მოჭრილი სპილენძის
მონეტის ზედნერილი: „ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა,
ქართველთა, რანთა, კახთა, და სომეხთა“; ეს უნიკალური
და იშვიათი მონეტა ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

დაცითის მეფობა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ 1103 წელს მოიწვია რუს-ურბნისის საეკლესიო კრება და დიდი რეფორმების გატარების შემდეგ ეკლესიიდან განდევნა ულირსნი.. მან გელათის სამონასტრო კომლექსის მშენებლობა 1106 წელს დაიწყო, რომელიც მისმა შვილმა დემეტრემ 1130 წელს დასრულა. ანსამბლი აერთიანებს მთავარ — ღვთისმშობლის მიძნების ტაძარს, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებს, აკადემიას, კარიბჭეს, სამრეკლოს და სხვა ნაგებობებს. მთავარ ტაძარსა და წმ. გიორგის ეკლესიაში დაცულია შესანიშავი კედლის მხატვრობა, რომელიც XII-XVIII სს. მოიცავს. მთავარი ტაძრის ინტერიერში, ჩრდილოეთ კედელზე სხვა დიდებულებთან ერთად დაცულია დავით ალმაშენებლის პირტრეტი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის გელათის კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გელათის აკადემიის დაარსება, სადაც მოღვაწეობდნენ იმ დროისათვის ცნობილი პიროვნებები. იქმნებოდა და ითარგმნებოდა ლიტერატურული ნანარმობები, ხდებოდა ძეველი ხელნაწერების გადაწერა და შემკობა. დავითმა აქ მოიწვა დიდი ფილოსოფიური — იოანე პეტრიში და არსენი, შემდგომში იყალთოელი, რომელიც მოგვიანებით კახეთის გაგზავნა. არსენმა მეფის



მფარველობითა და მზრუნველობით დააარსა მეორე უმაღლესი სასწავლებელი — იყალთოს აკადემია.

შემორჩენილია დავით აღმაშენებელის ჯვარი, რომელსაც იგი ატარებდა. ჯვარი სავარაუდოდ, უფრო ადრე, IX საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. დავითმა იგი მხოლოდ წარწერით შეამკობინა: „ღმერთო ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით აფხაზთა და ქართველთა პერთა და კახთა მეფე მზე ქრისტეანობისაი ამინ“. ჯვარი ნაკეთებია ვერცხლის ერთი მთლიანი მოოქროვილი ფირფიტისაგან.

დიდი მეცე შესანიშავი პოეტიც იყო. მისი
პოეზიიდან მხოლოდ ერთი — „გალობანი
სინანულისანი“ შემოგვრჩა.

1125 წლის 24 იანვარს, 52 წლის
ასაკში ისრულიადმოულოდნელადგარ-
დაიცვალა. დაუკრძალავთ გელათში,
მონასტრის კარიბჭეში. გადმოცემით
ქოს მეფეს ანდერძად დაეტოვებინოს, რომ
ელმა შემომსვლელმა გულზე დამაბიჯოს. ეს
გვი არაერთი ქართველი პოეტისთვის გამხდარა
კონების წყარო. ერთ-ერთი მათგანია ანა
ანდაძის შესანიშნავი ლექსი:

★ ★ ★

ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი უოგელმან,
წეალობა ჰეავით...

საქართველოის უოგლის მნერობელმან
ვისურვე დავით...

ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ეურნის მტკვნებით...

-ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო მიუტევ
ლირს მსახურებდი ქართულ მიწა-წეალ
რაი გადარდებს?

გასწიე იგი - ნიკოფიითგან
დარუბანდამდე...

თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?

თუ ცოდვილი სარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მნოგელთა?

-ფეხი დამადგით, გულზე დამადგით
ფეხი უოგელთა...

დავით მეფეს მადლიერმა ქართველმა ხალხმა აღმა-
შენებელი უწოდა და ამ სახელით შევიდა ის ისტორიაში.
8 თებერვალი თავით აღმაშენებლის ხსნაბის ორა.

გივი სიხარულიძე

იყრინთქმა



სცისი სიმიმების მთვირთვალი

იშვიათად შემხვედრია კაცი, ასე რომ ამართლებდეს საკუთარ გვარ-სახელს. გვარიც იგივე სახელია, - საერთო, კრებითი სახელი გრძელი გენეტიკური ჯაჭვისა. სწორად დაარქვა, ვინაც დაარქვა. არ შემცდარა მისი ჯიშის პირველნათლია; გივი სიხარულიძე ჭეშმარიტად სიხარულის დესპანია ჩვენს გაუბედურებულ საზოგადოებაში. ხოლო თუ რა უსაშველო ტკივილებს მაღავს თავად, ესუბერებდელი „ლიმილისბიჭი“, მისმა მკითხველებმა უწყიან ყველაზე მეტად. მის მოთხოვნებს, აუდელვებლად რომ ვერაფრით წაიკითხავ, თავად ცხოვრება წერს ყველაზე დიდი წერამწერალი, გივი ერთგვარი გადამწერია მხოლოდ. სწორედ ეს „გადაწერა“ უძნელესი საქმე; რა აირჩიო, რა აიღო და რა პირში შეატოვო ამ დაუღალავ მოკარნახეს.

მას ჩვეულებრივად არაფრის კეთება არ შეუძლია. განსაკუთრებულია მისი ცეკვა, მისი კინოროლები. ასეთივე სპორტსმენია და თამადა. იქნებ, ამადაც აღაშფოთა ჩვენი ლიტერატურის

აუტსაიდერები პარნასზე დაგვიანებული მგზავრის გამოჩენამ. მან იცის ქალაქი და ქალაქმა იცის იგი. იგია ამ ქალაქური ყოფის მთავარი პერსონაჟიც და მემატიანეც. რამდენი კარგი ბიჭი გააცოცხლა თავის ნაწერებში, რამდენი ზღაპარი გოგონა?! მისთვის ერთნაირად ახლობელია „მაღალი“ საზოგადოებაც და ე.წ. „ფსკერიც“. წუთისოფლის აღმართ დაღმართებზე უნებლიერ, მოჯირითეს არაერთხელ გადასწყდომია ეშმაკი. ხანდახან ღმერთიც სწყალობდა. მიუხედავად ყველაფრისა,



გილოცავთ

არის მასში რაღაც გაუბზარავი და ხელუხლებელი. ეს ის მთავარხატია, რომლის მიხედვითაც შეიქმნა კაცი და საბამიდან. მისი პატარ-პატარა შეცოდებები უფრო ბავშვის ანცობებია, მისი უსაზღვრო კეთილშობილება – მიუღწეველი და გაუგებარი მრავალთათვის. „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი!“ - ეს სახარებისეული შეგონება მას პირდაპირ გულზე დააწერა უფალმა. თითქოს საკუთარი ჯვარი არ ჰყოფნიდეს, სხვისი სიმძიმეების მტვირთველი არის მუდამ. გივი სიხარულიძემ დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოს... ის დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა დარჩეს ახალგაზრდად!

ვახტაცხ ღლოცი

იგი არავის ჰგავს!

გივისიხარულიძეს შეუძლია თამამად გაიმეოროს გალაკტიონის უკვდავი სტრიქონები: „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“... მასზე თუ უთქვამს მეოცე საუკუნის მოგვე: „ცხოვრიბდა ერთი და იყო მეორე“... დიახ! — ეს ასეა... მწერლობა ხომ ბენვის ხიდზე სიარულია!.. და ამ ხიდზე ოდენ გადიან ისინი, ვისაც აზრთა გამრიგებ ღვთიური ნიჭი მოჰქმადლა... კალამი გამექცა — ჩემდა უნებურად!

უნდა ვალიარო: სიხარულიძის ნოველები თვისობრივად ახალი ტიპის ნოველებია... მისი გმირები თავად ავტორს გვანან. ისინი აქვე, ჩვენს გვერდით, ჩვენსავე ქალაქში ცხოვრობენ და იღწვიან.

კითხულობ და გულის წვერზე გექარგება: 60-იანი წლების თბილისი თავისი ავ-კარგით... წუთისოფლის ტკბილ-მწარე განცდებით!

გივი სიხარულიძეს, როგორც მწერალს, ნოველისტს — არავის არ შევადრი. ის მხოლოდ თავის თავს ჰგავს...

არც მის შემოქმედებას აქვს ეროვნება — იგი — ზოგადსაკაცობრიოა.

....ნელთა სიმრავლეს ჩემს უსურველოდაც მოესწრება ამ წიგნის ავტორი. მე მას, რაც მთავარია, მკითხველთა სიმრავლეს ვუსურვებდი...

თემურ ჩალაგაშვილი



გივი სიხარულიძეს

ვახტაცხ ღლოცი

საცა ეველა ბრძენს თამაშობს

შენ ირჩიე როლი გიქის

ენაბილზ და ლაზლანდარას

გულში ანგელოზი გიზის.

ერთსაც ვიტევი - შენი ვერცხლი

მუდამ ჯაბნის სხვების ოქროს,

ამ უსქესო ასაბიაბ

რაც არ უნდა იბობოქროს.

მოგდევს ლამაზების გუნდი -

უკვარსარ და გიუვარს შენაც.

ვისაც უნდა დაქციო,

სწორედ იმან აგაშენა.

იცინი თუ იცრემლები?! -

კაცი ბჭობს და, ღმერთი ხედავს.

საით მიგაქროლებს ბედი

ასე თავაწევეტილ მხედარს.

მე - ასევები, შენ - ბოჭემა,

ერთად ვიღებენთ ქალაქურად;

ჩვენ უბრალო ხალხი გვიჯობს

სახელიან ხარახურას.

ღმერთმა გისაშველოს მინდა

უკუღმართს და უსაშველოს.

ნაღდი სამმო ცაში გვიცდის,

მაინც, ნუ ვიჩქარებთ, ძველო!



ცუნთევა გინერ დე ცუნთევა... ნინო ქაგულაძია



ვარდობის თვის 12 რიცხვში, 1971 წელს, მომავალი შემოქმედი, ნინო კემულარია მოევლინა ქვეყანას. 1988 წელს დაამთავრა ბის საშუალო სკოლა, 1990 წელს ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აგრობიზნესის ფაკულტეტის, აგრონომ-მენეჯერის სპეციალობაზე. 1990-1996 წლებში მუშაობს აგრონომად ბის კოოპერატიულ მეურნეობაში. 200-2003 წლებში ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოში, აგროქიმიური და ნიადაგობრივი ნაყოფიერების უფროსად. 2003-2006 წლებში მეთესლეობისა და სარგავი მასალის ინსპექციაში მთავარ აგრონომად. 2006-2009 წლებში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ხობის რაიონულ სამმართველოში სურსათის ხარისხისა და ზედამხედველობის მთავარ სპეციალისტად. 2009-2010 წლებში-მცენარეთა დაცვის მთავარ სპეციალისტად და სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 2012 წელს-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში. არჩეულია საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ გაზეთს „მერმის“-ს. გამოცემული აქვს სამი ლექსების კრებული, „თოვლი უშენოდ“, „ასი ლექსი“, „მახარია“.

არა, არ ვიღლები ლოდინით...

გუშინ დამათენდა გაზაფხული,
ვეღებმა დაიფარეს ხავერდი,
გზაზე ხმა რომ მესმა ოთახიდან,
უცებ ჟენ მეგონე, გავედი...

ისევ მიგიჩქარი შესახევდრად,
გულზე ცრემლი მაწეს ლოდივით,
საათს მიცანცარებს ისრები და
არა, არ ვიღლები ლოდინით...

სოფლის უკელა ღრონი შემოვკრიბოთ,
უკელა დღე დავლეჭოთ წამების,
მერე, გაზაფხული დავიტოვოთ,
კოვალოთ ჭადრის ძირას წამები...

ღმერთო, როგორ მინდა ჩემი ნატერა,
აღარ მოკვდებოდეს არასდროს,
სიზმრის ღიმილები ამიცხადდეს,
კოველ მზიან დილას დავასწრო...

...ოჲ, სუნთქვა მინდა იმ სურნელის...

ნეტავ მაცხოვრა იმ ცხოვრებასთან,
როს ცხელი ჩურის ორთქლი აძლობდა,
მიწას ფეთქავდა ჩაის ფესვები,
მზე თეთრ ღრუბლებში იწვა, ლალობდა...

ურემს მიშქონდა სახლში ბარაქა,
შებლს მიგრილებდა სიო დამბისა,
ფოსტალითნი ჩანთით მომსდევდა,
მაცნე ახალი გარე ამბისა...

შეეგარებულზე ლოდინს დაჭკრავდა,
ვით შემოდგომის ფერი კუნელის,
ნეტავ, იმ გულით მაცხოვრა ახლა,
ოჲ, სუნთქვა მინდ აიმ დღის სურნელის.

გაშინერს...

მიდის უვავილობის აპრილობა,
ახლა დრო და ქამი მიგონებს,
მველი წერილივით გამაევითლებს,
თავზე გადამასკეს სტრიქონებს...

ისე შევეზიე მარტობას,
ტირილს ზედ შეაშრა ცრემლები,
უველა საფიქრალი დავმარხე და
მივალ ამ ცხოვრებას ვეცლები...

მე ჩემს ნაბილიგარს გავაცოცხლებ,
გულებს დაგახატავ ნაბიჯად,
ურველ დანამდერებ სიმღერებს
შენში ვაბიბინებ ნარინჯად...

მიდის უშენობის აპრილობა,
შორით იანვარი მაშინებს,
ერთხელ დამიძახე სანამ წავალ,
ასე გულგრილობა ვაშინერს...

სობი

ავედევნე იმ ხმებს ახლა,
საიდანაც მესმის შორით,
კოლხეთს მიშქრის რაშით ცოტნე,
შემომდგარა ანისს გორით.
მოხლოლებზე აღმართული არ ასვენებს
ვერცხლის ფარ-ხმალს,
თაფლწასმული სამეგრელო
უწევნია უნდოდ ტრამალს.
მზეზე იწვის ფეხშეგრული,
შესევია ფუტკრის ჯარი,
თამარ მეფეს აქროს ქოშით
წინ მიუძღვის ლოცვით ჯარი.

გუბაზ მეფის სისხლი მიღუღს,

დამხნეული ლაქად ნაპირს,
ჩონგურს უგრავს კოლხი ქალი,
სობისწეალზე ჩუმად ნაფიქრს.

ჯარგვალს ბოლავს ცეცხლის კვამლი,
წენელის ღრიშოს გადამდნარი.
კოლხეთს მოდის ცოტნე რაშით,
ქარი უგრავს როგორც ქნარი.

ნასახლარი

ჭიშკარს მიენაბა სიმარტოვე,
ოდეს კვალი ჩანდა ღმერთის,
წლების აბლობა ძრწის კედლის ბზარებს,
წარსულს მომავლის გზა ერთვის.

ფანჯრით იუურება სიბნელიდან
მზისგან გარიული სურდა,
კოკას შემოატევდა ნაპირალი,
წეაროს წელის ფიქრი რომ სდევდა...

ეზო განისვენებს სიჩუმეში,
ხეებს დაუბერდათ ტოტი,
ჩონგურს შემოაწევდა ოქროს სიმი,
დრო-ჟამს წაულევავს ნოტი...

აქაც დადიოდა გაზაფხული,
ახლა შემოდგომა ცვივა,
უველა გაქცევია სიმარტოვე,
ზის და სიმარტოვე ტკივა...

ზეიად ზარანდიას სსოფნას.

ზირგელი თოვლი იწვოდა მზეზე,
ჩვენს დაფეხურებს ადნობდა როცა,
დღეები გვინდე კალენდარივით,
ლექსის ფერებში მეხატა რომ ცა...

დაბერდა მიწაც, ზეცაც და მთვარეც,
შემოვიტერეთ მთელი ცხოვრება,
ქაღალდს თუ დარჩა ცრემლით ნაწერი,
და საფლავის ქვას- სულებს ცხონება.

ზირგელი თოვლის მწვავდა სითეთრე,
და თბი ლი თოვლის დამიდნა გუნდა,
როგორ მიუვარდი, ღმერთივით მწამდი,
ეს სიუვარული მიუვარდა, მსურდა...

სიშორებ შობა ახლო მანძილი,
და განშორებამ იხარა როცა,
ლოდინშეხვეულს არ დავთმე დრონი,
ლექსის ფერებში მეხატა რომ ცა...



ადამიანები სახლებს გვანან. სახლები - ადამიანებს. ძველი სახლები მგრძნობიარე ადამიანებს.

ამ აჩქარებულ რიტმსა და ეპოქაში ზოგჯერ მათი არსებობა გავიწყდება. საკმარისია ერთხელ სადღაც რაღაცამ გაიელვოს, დაგამახსოვრდეს და აღმოჩნდეს სახლში, აჩქარებულ რიტმში მცხოვრებ ადამიანებს, ურთიერთობებს შორის. ის, რაც დაიბადა ასი წლის წინ თავისი სიდინჯით განაგრძობს არსებობას. თითქოს ეხები მათ... და კიდევ რაღაც მნიშვნელოვანს.

როცა ასეთ სახლში კარს შეაღებ, მოთავსდები ძველ სავარძელში და ფოტოებს ათვალიერებ, ყოველთვის რაღაც ამბავი შემოიჭრება ხოლმე... თუნდაც ეს კაბა. პარიზში შექმნილა. ვინ იყო მისი დიზაინერი, ან რატომ შეკერეს ასე სახელდახელოდ და ასე განსაკუთრებულად? ყველაფერი ხელითაა გაკეთებული, აბრეშუმის ძაფით. რაღაც შეუმჩნეველი სირმები აქვს ჩაყოლებული. მის პატრონს სხეულიც ლამაზი ექნებოდა. ალბათ, ამ კაბაში გამოწყობილი კომპლიმენტებსაც იღებდა. სახლიდან გასვლის წინ სარკესთან იდგა. მერე წვეულებებზე, არისტოკრატიულ საზოგადოებაში იცეკვებდა, იქნებოდა ნელი მუსიკა, ხელზე ამბორი... და ნელი რჩევისას შეუმჩნევლად გაიბრწყინებდა როგორ მოვიდა ეს კაბა დღემდე, რომელიც ერთი საუკუნის წინ შეიქმნა? ჩავლილი ემოციების, განცდების შემდეგ. "ეს ჩემი წინაპრის კაბა. შეიძლება პარიზში ცხოვრების პერიოდში შეიძინა და ჩამოიტანა," - მეუბნება

ჩემი მასპინძელი, მანანა სურმავა, მსახიობი ერთი ამოსუნთქვით. არტისტი, რომელსაც ყველა როლი და პერსონაჟი შეინიდან გამოსდის. მანანა სურმავა ჩარჩობიდან ამოვარდნილი მსახიობია. სახლიც ასეთია. გაბნეული ნივთები, წიგნები, ძველი ფოტოები. ძველიც და ახალიც ყველაფერი ერთმანეთის გვერდით არსებობს და ამ არითმიაში არ იგრძნობა არანაირი ეკლექტიკა. ძველი გრამოფონი, რომელიც შემთხვევით გადაურჩა გაყიდვას ყველაზე რთულ პერიოდში და იმ მარტივი მიზეზით, რომ არავინ არ იყიდა. რაღაცნაირად მეტყველი და ბევრის მთემელია ეს ნივთები. ცოტა იდუმალებაა, ცოტა მისტიკა. თითქოს ამ პატარა ოთახში ყველაფერი ერთად "მონანილეობს" და "მოძრაობს" იმ ადამიანებთან ერთად, ვიზეც მანანა სურმავა ყვება.

მამას ხშირად დაყავდა თეატრში და კულისებიდან უყურებდა სპექტაკლებს. ყველაფერს აკვირდებოდა. თეატრი ამ ოჯახის ცხოვრებაში სულ იყო, სულ, რაც თავი ახსოება.

"მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც მამა მუშაობდა, ძალიან წარმატებული პერიოდი იყო. თეატრის ცხოვრებაშიც და მამას ცხოვრებაშიც. მე პატარა ვიყავი. მახსოვს დარბაზი, ცოტა ეპიზოდი უფრო მეტად კულისები მახსოვს, არაჩეულებრივი მსახიობები მუშაობდნენ, ლეილა ძიგრაშვილი, ნუცა კუპრაშვილი მათთან ერთად იქმნებოდა კარგი სპექტაკლები. თეატრს ჰყავდა თაყვანისმცემლები,

პოპულარულები იყვნენ და თან ყველანი ახალგაზრდები. ულამაზესი პერიოდი იყო".

მოგვიანებით კოტესურმავაგრიბოედოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. პარალელურად ბევრი სხვა თეატრიც იყო მის ცხოვრებაში. ფოთის თეატრშიც დგამდა სპექტაკლებს, ბათუმის თეატრშიც, სოხუმის, ცხინვალის თეატრებშიც. მერე იყო კიევის ივან ფრანკოს და ოდესის თეატრი. "სახლში" კი მუდმივად იყო გრიბოედოვის თეატრში. ამ პერიოდს "კოტე სურმავას პერიოდი" დაარქვეს. "ჩემთვის ეს რეცენზიაა" - ამბობს მანანა - კინოშიც მუშაობდა, მაგრამ ის თავიდან ბოლომდე თეატრის რეჟისორი იყო."

ადრე სურმავები აბაკელიას ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ამ სახლში ცხოვრობდა კოტე სურმავა, რეზო იაშვილი, ნანა კიკაძე, ნინო ჩხეიძე, უშანგი ჩხეიძე, მერაბ კუკოჩაშვილი. მხიარული, საინტერესო წლები იყო. ამ სახლში დღემდე ცხოვრობენ სოსო ქართველიშვილისა და პატაპოვების ოჯახი, ნანა კიკაძე, ზურა ოჩიგავა. ქუჩის ბოლოს იყო პატარა ამაღლებული ადგილი, სადაც შემოქმედებით წარმოდგენებს მართავდნენ, მშობლები თავიანთი სკამებით შემოუსხდებოდნენ „სცენას“, რაც დამახასიათებელი იყო ტიპიური ქართული ეზოებისთვის. სახლს ორი შესასვლელი ჰქონდა - ერთი ეზოდან, მეორე - სადარბაზოს მხრიდან, „საპარადო“ შესასვლელი. მოგვიანებით, კოტე სურმავა ათარბეგოვზე გადასულა, სადაც მეუღლესთან, ლიანასთან ერთად ცხოვრობდა. კოტეს და ლიანას ერთმანეთი მე-9 კლასში გაუცნიათ. 80 წლის ასაკამდე ერთად იცხოვრეს დიდი სიყვარულით.

„მოელი ცხოვრება ერთად იყვნენ. მახსოვს მათი წრე - ინსიტუტის მეგობრები, სკოლის მეგობრები. საერთოდ, მათი თაობისთვის ყველაზე დამახასიათებელი თვისება ის იყო რომ, ისინი არ ფანტავდნენ მეგობრებს. მეგობრები ერთმანეთს მხოლოდ ერთი მიზეზით სცილდებოდნენ, თუკი რომელიმე მათგანი გარდაიცვლებოდა. არ იყო იმედგაცრუება, ღალატი და ყველაზე მეტად მიტევების უნარი გააჩნდათ. ის ხალხი, ის ურთიერთობები მე დღემდე მახსოვს.“ - ამბობს



მანანა სურმავა, რომელიც მაყურებელს ახსოვს სპექტაკლებიდან, თუმანიშვილის თეატრიდან, რუსთაველის თეატრიდან, სატელევიზიო სპექტაკლებიდან და მონო სპექტაკლებიდან, ფილმებიდან და სოფიკო ჭიათურელის „ერთი მსახიობის თეატრიდან. „დღეს კინომსახიობთა თეატრში დაბრუნდა სპექტაკლით „ჩვენთვის უცნობი ქვეყანა“, სადაც მსახიობთან ერთად მუსიკის ენით მოღაპარაკე რვა პერსონაჟი, რვა მუსიკოსი მონაწილეობს (ისინი ერთი ოჯახის წევრები, კვალიაშვილები არიან). მათთან ერთად საყვირზე, მუსიკალური თემით ერთ-ერთ ფერს ქმნის ახალგაზრდა მუსიკოსი გიორგი გაბრიელაშვილი. სპექტაკლით თუმანიშვილის თეატრის რეპერტუარში ზის. „ნიკო ლორთქიფანიძეა, მაგრამ ქართულია და დღეგანდელი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვაღელვებდა.“

მამას არ გახარებია, როცა მისმა ქალიშვილმა პროფესიად მსახიობობა აირჩია. არ სურდა, რომ მანანას თეატრალურ ინსტიტუტში ჩაებარებინა. რეჟისორი და მსახიობი მამა-შვილი ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ხშირად უზიარებდნენ. კოტე სურმავა თავის შვილს სპექტაკლებში არ აკავებდა. სახლში ყველა თავის ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ ოჯახი ერთი ჰაერით - თეატრით სუნთქვადა. სანამ მანანა როლზე მუშაობას არ დაამთავრებდა, მამას არაფერს ეკითხებოდა. რაღაც პერიოდში თავის სუვერენიტეტი ჰქონდა დაცული. რჩევებს ზოგჯერ იღებდა. ნიკო ლორთქიფანიძის მასალა პირველად სწორედ მამამ შესთავაზა. მაშინ მანანამ წაიკითხა და გვერდით გადადო. მოგვიანებით კი, დაუბრუნდა.

ალბათ, ბევრს ახსოვს, 2000 წელს, მანანა სურმავამ ვერის ბაღში ერთაქტიანი წარმოდგენა გამართა - აუზზე დაგებულ ფიცარნაგზე ითამაშა ფრანგული პიესა. ლირიული კომედია მთლიანად პლასტიკაზე იყო აგებული. ეს ექსტრავაგანტული აზრი მამას გაუზიარა. მამამ უთხრა; „ვერის ბაღში დაცული ხარ, სცენა გაქვს. ტრადიციულად მაგ ადგილზე კინოთეატრი იყო. თუ ასეთი თამამი ხარ და ქუჩაში თამაშის პრეტენზია გაქვს, მრგვალ ბაღში ითამაშე...“ მაშინ პატარა უფლისწულის ქანდაკება ახალი დადგმული იყო. მანანამ შეძლო იქ თამაში. ეს საოცრება იყო. ხალხი თავისთავად შემოიკრიბა და

მსახიობი

ბალში რკალად განლაგდა. ქუჩა არავის გადაუკეტავს. მანქანები ჩვეულებრივად დადიოდნენ ბალის გარშემო. მიზანსცენა აუზის წინ იყო, თვითონ აუზი და ქანდაკება სცენის უკანა პლანი „ძალიან ვლელავდი. ისეთი აზარტი იყო, ლელვაზე მეტი“.

კოტე სურმავას ბაბუა თომა, 5 წლის ასაკში ბიძამ ჩამოიყვანა თბილისში მარტვილიდან. მოურავად დააყენეს ორბელიანებთან. თომა ბალებს აწყობდა, ბალებს, ყვავილებს. თომას მეუღლე სოფიო ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა, მათ 6 შვილი ჰყავდათ. თომას 112 წელი უცხოვრია. სამეჯლისო კაბა კი ეკატერინა ნოვიკოვასია, რომელიც მანანას წინაპრად ეკუთვნის და რომელსაც რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტი ჰქონია დამთავრებული. საფრანგეთიდან პეტერბურგში ჩასულა, სადაც შემთხვევით, ერთ-ერთ წვეულებაზე თომას მეუღლის, სოფიოს ძმა გაუცნია. ახალგაზრდა ქართველმა მამაკაცმა მოხიბლა ყველასთვის მიუწვდომელი ეკატერინა. ქალს ყველაფერი დაავიწყდა და ვაუს ცოლად გაპყვა. მათ შვილები არ ჰყოლიათ. ეკატერინა ივანოვნა ომის დროს ფრანგულს ასწავლიდა სამედიცინო ინსტიტუტში. სამედისტად ისტორიის უკან, ფურცელაძის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. მათი სახლი მუდამ სტუმრებით იყო საგანგ. კარზე დიდი ზარი ეკიდათ, ოთახში ულამაზესი შირმები იდგა, მაგიდებზე აბრეშუმის გადასაფარებლები. საუკუნის სამეჯლისო კაბა სწორედ ამ ქალბატონმა გადასცა მანანას.

„...ეს ქუდები ბებიასია დედის მხრიდან. ისინი ძნელაძის (ახლა თაბუკაშვილის) ქუჩაზე ცხოვრობდნენ. გემოვნებიანი ადამიანები იყვნენ და იმაზე, რაც გემოვნებიანია და კარგი, დრო არ მოქმდებს. ეს კაბაც ასეა მოდა იცვლება, მაგრამ შენი დამოკიდებულება ხომ არ იცვლება. ასევეა მაგალითად, კარგიმასატვრობა. მართლაც არის რაღაც პიკანტური ამ ქუდებში. თუნდაც ამ ყვავილში - ხალისი,



რომ ასე მოაწონო თავი. საკმაოდ ექსტრავაგანტულია. ეს მქონდა გამოყენებული სპექტაკლში. მორუაში მეკეთა. საერთოდ აქსესუარი ბევრს ამბობს ადამიანზე, მის ბუნებაზე.“

პატეფონი დახურულია. ძველი ჩემოდანივით. „ეს არის გრამოფონი, ბებიების, ღედაჩემის ახალგაზრდობის წლები. ძველი ფირფიტებიც მაქვს.“ „არ უკრავთ?“ „ერთი-ორჯერ ზაფხულის საღამოს დავდექით ამის სასიათზე. კი, განწყობას ქმნის. იშვიათად უკრავთ ხუმრობით“

თბილ ფოტოებს ვათვალიერებ. ყველა ძველ გამოსახულებას თავის განწყობა მოაქვს - ემოცია, მოძრაობა. გვაფორიაქებენ, თითქოს გვაღრმავებენ. რაღაც მაგია ძველი ფოტოების თვალიერება. ძველ სახელებს, წარწერებს კითხულობ. აქ არის ფოტო აკაკი ხორავას წარწერით. ხორავას კოტე სურმავა განსაკუთრებით ყვარებია. ერთ-ერთ ფოტოზე ერთად არიან კოტე სურმავა, აგთო მახარაძე. ფოტოს უკან წარწერაც აქვს. „ხორავას კლასი. რეჟისორი სურმავა“. მიშა თუმანიშვილი და კოტე სურმავა ფოტოზე ახალგაზრდები, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ თეატრში. გურამ საღარაძე, დოდო ალექსიძე, რამაზ ჩხიკვაძე ამ ფოტოებს იმ ეპოქის სურნელი მოაქვს.

“პირდაპირ მინაზე გაშლილი სუფრა. წამოწოლილები იგრძნობა სტილი, ატმოსფერო. მინდობილები და მშვიდები.“

„აი, ეს ნანუ სურმავა, ბაბუას და, რომელიც აბაკელიაზე ცხოვრობდა, იმ ძველსახლში. 37 წლებში კარგ საქმეზე ვინ მოგიკაცუნებდა დაროცაუშანგიჩეიდეს მიადგნენ, ნანუმ გადაარჩინა. ამ ქალს ეყოვა უკაცობა და მომსვლელებს უთხრა, ახლახანს გავიდა უშანგიო და მეორე გასასვლელიდან. ესენი კი სადარბაზოს მხრიდან შემოიყვანა. რაღაც სხვანაირი ნდობა იყო. ზომიერების გრძნობა ყველაფერში. მთავარია რა ფასეულობებს იცავ...“

დედა განსაკუთრებული ბუნების იყო. რბილი. ყველაფრის უსიტყვოდ გადატანა შეეძლო. სხვას არ შეანუხებდა. ნახევარი საუკუნე პირველ სკოლაში მუშაობდა. ორივე ერთად წავიდა სამ თვეში. ერთხელ უთხრა დედამ, კოტე, ჩვენ არ გვაქვს ერთად გადალებული სურათიოდ და გადაიღეს. უკვე ამ სამყაროდან წასასწლელად ემზადებოდნენ, როდესაც ლიანა წავიდა ამ ქვეყნიდან, მამამ მხოლოდ სამი თვე გაატარა მის გარეშე. მე ვხედავდი ყველაფერმა როგორ დაკარგა მისოთვის უღერადობა. რა გვრჩება ჩვენ, როდესაც მიდიან ჩვენი ახლობლები? რა და მათი საქციელი, მათი ურთიერთობების რეზულტატს ვაწყდებოდი და ვაწყდები დღესაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე. და ეს არის ულამაზესი ბადე, სადაც მე გახვეული ვარ.“

საერთოდ, მარტო ის კი არ გალელვებს რისი მომსწრეც შენ იყავი, ან რაც შემორჩა მეხსიერებას, გალელვებს ისიც, რასაც წარმოსახვაში თავადვე თხზავ ძალაუნებურად, როცა ძველ სახლში შედიხარ. ზუსტად იცი - აქ გაიარა შენი წინაპრების ახალგაზრდობამ. ეს ერთი დიდი სამყაროა და კარგია, როცა შენარჩუნდება ის, რასაც შეიძლება ხელით შეეხო.“

ნანა ლომიძე

აეგრიულ-ქართულო ლექსიკონი

ძიანაშ ოთხი ციონით – ქვეყნის ოთხი მხარე

ბჟაეიოლ (ელახ) – აღმოსავლეთი
ბჟადაალ – დასავლეთი
ბიულეთი (ორუე) – ჩრდილოეთი
ოჩხანე – სამხრეთი

შევაღო შევა–სევადასევა

ზიტყვასკვილი – წინადადება
ნანაია – დედასამშობლო
შურობუმუ – სამშობლო

თუთაფი – თვეები

ღურთუთა – იანვარი
ფურთუთა – თებერვალი
მელახ – მარტი
პირელი – აპრილი
მესეფი – მაისი
მანგი – ივნისი
კვირკვე – ივლისი
მარიამობა – აგვისტო
ეკენია – სექტემბერი
გიმათუთა – ოქტომბერი
გიორგობა – ნოემბერი
ქირსეთუთა – დეკემბერი

დღა დო სერიში პორჯეფი – დღა და ღამის დრო

ღიუ–ღაუ – ალიონი
ოჭმარე – დილა
ონდღე – შუადღე
ნაონდღერი – ნაშუადღევი
მაონჯუე – მოსალამოვებული
ონჯუა – სალამო
სერი – ღამე
შქასერი – შუალამე

ნანაში პორჯი – ცელინაზი დრო

აფუნი – გაზაფხული
ზარხული – ზაფხული
დამორჩილი – შემოდგომა
ზოთონჯი – ზამთარი

მარუობი დღალეფი – კვირის დღეები

თუთაშხა – ორშაბათი
თახაშხა – სამშაბათი
ჯუმაშხა – ოთხშაბათი
ცააშხა – ხუთშაბათი
ობიშხა – პარასკევი
შურიშხა – შაბთი
ჟაშხა – კვირა


გიოშაუმალარი შიხევი – სასვენი ნიშხები

ჭურჭული – წერტილი
,კანწი – მძიმე
!ძახინიში შინი – ძახილის ნიშანი
?ოკითხირ შინი – კითხვის ნიშანი
()კალუეფი – ფჩხილები
„ „ ჯღვალიკი – ბრჭყალები
ჭურჭული კანწამი – წერტილ–მძიმე
...ბრელჭურჭული – მრავალწერტილი

პორჯი – დრო

უკუნი – საუკუნე
ნანა – წელიწადი
თუთა – თვე
მარუო – კვირა
დღა – დღე
საათი – საათი
ნუნი – წუთი
მერქა – წამი

ქართველი მეცნიერებები



„სამეგრელოში მოუკრძალო საქართველო კახუ-რიდი საქართველო! ბეკრი ჭირი ყნახავს საქართველოს. მწარეთ ქართველოს გარეულია ზურგზერა მიხს. მაგრამ ყოველთვის უმხარევებისა და განხილულისა... მწერთა მიხსთა ღამთრებულებული სამეგრელო იყო. იგი იყო ურთხევა და ურთიგება იმ ხელისა, რომელისაც საქართველო უწოდება, ასე იყო წინეთ, უგრივ რომ არა. უგრივ დარჩება მომავალშიც.“

ილია ჭავჭავაძე



ზუგდიდის ისტორიული დასაწყისი ლეგენდარულ კოლხეთში აქვს. ის იყო კოლხეთის ნაწილი, რომლის ისტორიულობას და უაღრესად საინტერესო ნარცისს ხაზს უსვამს მითი არგონავტების შესახებ. ზუგდიდი ისტორიულად სამეგრელოს სამთავროს სატახტო ქალაქი იყო და შესაბამისად მის პოლოტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა..

ქალაქს ამ სახელით წერილობით XVII საუკუნიდან იხსენიებენ. მანამდე ის წარმოადგენდა სავაჭრო ცენტრს, ისიც იმიტომ, რომ აქ იყო დადიანის სასახლე და სამთავრო ტახტი. როგორც ქალაქი ის XIX საუკუნის 30-იან 40-იან წლებში იწყებს ჩამოყალიბებას.

არქანჯელო ლამბერტი წერს: „ზუგდიდი შენდება ვრცელ მინდორზე, რომელსაც საზღვრავენ: აღმოსავლეთით სასახლე და ბაღი დადიანისა, ჩრდილოეთით რამდენიმე სასახლე და პატარა მდინარე, დასავლეთით დროებითი სასახლე თავადის გრიგოლისა, ძველი სასახლე მთავრისა და დაღმართით, წყლისაკენ რომელზედაც დამწკრივებულია სახლები და მათ შორის ახალი, ჯერ კიდევ მოუთავებელი სახლი თავად გრიგოლისა და დასასრულ, სამხრეთით, საკმაოდ ვრცელი ბაზარი, აგებული დავით დადიანისაგან, რომელსაც ეტყობა სახეში ჰქონია დაეფუძნებია აქ დიდი ვაჭრობა თავის ქვეყნის მიწის ნაყოფისა და ერთმანეთთან თუ გარეშეებთან დაახლოებით, გაევრცელებინა აქ იდეები

განათლებისა. რამდენიმე ასეული სახლები გაშენდნენ აქ ორ-სამ წელს საყოველთაო სასარგებლოდ, თუ ეს მოძრაობა გაგრძელდა, ზუგდიდს მაღე დაეტყობა აყვავება.“

1830 წელს გრიგოლ დადიანი აგებს ზუგდიდის ვლაქერნის სახელობის ღვთასმშობლის ეკლესიას, რომელიც განსაკუთრებულ ხიბლს აძლევს ზუგდიდს. მთავარს გასჩენია იდეა, რომ ტაძრის მიმდებარე ტერიტორია და შემდეგში ქალაქიც გრიგოლოპოლად ყოფილიყო წოდებული. ამისთვის იმპერატორისთვისაც მიუმართავს, თუმცა მას შემოუთვლა, რომ ზუგდიდი ჭაობისა და ხავსის სამფლობელოა და მაშინდა ეწოდებოდა სახელი, როცა ის აშენდებოდა... დავითის დროს ზუგდიდი „მაზრად“ გადაკეთდა. მაზრის მდივანბეგები იყვნენ თეიმურაზ აგიაშვილი, კაცია ჩიჩიუა და დუტუ დადიანი. 1851 წელს ზუგდიდის მოსახლეობა 2000-ს შეადგენდა.

ზუგდიდის ქალაქად ფორმირება XIX საუკუნის 30-40 წლებიდან იწყება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ზუგდიდის ქალაქმშენებლობის ისტორიისათვის სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის პროგრესული საქმიანობა, რამაც წელი შეუწყო ქალაქის კულტურულ და სამრეწველო განვითარებასა და განაშენიანებას. თავისი ფუნქციების მიხედვით ზუგდიდი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ - სავაჭრო ქალაქს, სადაც განვითარებული იყო ხელოსნობა და

კოლხეთის გული

შინამრეწველობა. 1848 წელს ზუგდიდში აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა აშენდა, რომელიც პირველი სამრეწველო საწარმო იყო სამეგრელოში. 1850 წელს ზუგდიდში არყის სახდელი ქარხანა აშენდა. დავით დადიანის სახელთან არის დაკავშირებული კულტურული ფუნქციის განვითარება: 1844-45 წლებში ბიბლიოთეკის დაარსება, სადაც დაცული იყო საქართველოს უძველესი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო თავისებური ლიტერატურული სალონი, სადაც იკრიბებოდნენ, ალ. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, პ. იოსელიანი, გ. დადიანი და სხვები.

ქალაქის განუმეორებელი იერსახის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, დავით დადიანის თაოსნობით და მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის დიდი ხელშელშეწყობით შექმნილმა სასახლის ბაღმა. მან უკვე XIX საუკუნის 50-იან წლებში გაითქვა სახელი ეგზოტიკური მცენარეულობის მდიდარი კოლექციით. როგორც პარკების მკვლევარები აღნიშნავენ, თავისი მცენარეული მრავალფეროვნებით იგი იმ დროს ერთადერთი ყოფილია ამიერკავკასიაში. XIX საუკუნის 1844-1845 წლებში ზუგდიდში ორგანიზებულ იქნა ჭადრაკის მოყვარულთა წრე, რომლის აღზრდილად ითვლება დავით დადიანის უმცროსი შვილი და ეკატერინე ჭავჭავაძის შთამომავალი, ცნობილი ქართველი მოქადრაკე ანდრია დადიანი.

1856 წელს ზუგდიდი გახდა ომარ ფაშას სათარეშო ადგილი. კოკისა და კახათის ბრძოლის შემდეგ მან ზუგდიდიც აიღო. გადაწვა მთავრის სასახლე და გაავერანა ბოტანიკური ბაღი.. 1857 წელს ეკატერინე ჭავჭავაძე მემკვიდრეობურთ პეტერბურგს გაიწვიეს. 1867 წელს სამეგრელოში ოფიციალურად გაუქმდა მთავრის ინსტიტუტი.

ზუგდიდის ქალაქად ფორმირების საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის გამოჩენილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს რაფიელ ერისთავს, რომელიც 1857-1867 წელში ზუგდიდის მაზრის უფროსი იყო. კერძოდ, მის მიერ დაგეგმილი ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დღესაც გამორჩეულია საქართველოს ქალაქების ფონზე, თავისებურებებითა და სილამაზით. ეს ხეივანი მდებარეობს დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. 1918 წელს ზუგდიდს ოფიციალურად ენიჭება ქალაქის სტატუსი.

კოლხეთის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას ხელს უწყობდა გეოგრაფიული მდგომარეობა და საქარავნო გზები, რომლებიც მაშინდელი ევროპის, შორეული აღმოსავლეთის, ირანის, ინდოეთისა და ჩრდილო კავკასიისაკენ მიემართებოდა. მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან კოლხეთს უძველესი დროიდან ჰქონდა ურთიერთ კავშირი. თქმულები არგონავტებზე სწორედ ამის დამადასტურებელია.

IX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში საფუძვლიანად შეკეთდა ზუგდიდთან მისასვლელი გზები. 1872 წელს ამის თაობაზე პაველ სემენენკო წერდა: „ხუთი წლის ნინ ზუგდიდამდე მიღწევა

მეტად ძნელი იყო, იმის გამო, რომ არ არსებობდა თუნდაც უბრალოდ ტკეპნილი გზა. აქამდე აღწევდნენ მხოლოდ ცხენით, ვინრო ბილიკით... ამჟამად კი ამ ადგილებში შეიძლება საკმაოდ მშვიდად იაროთ ეტლებითაც კი თვით მთელს მაზრაში, რადგან ყველგან მოხრეშილი თემშარეია ...“ X საუკუნის დამდეგიდან ავტომობილებმაც დაიწყეს ზუგდიდ-სენაკის შორის ყოველდღიური მიმოსვლა. 1921-25 წლების მონაცემებით, ქვეყანაში არსებულმა საჭაპანო გზების საერთო სიგრძემ 6635 კმ შეადგინა, აქედან ზუგდიდის მაზრაზე მოდიოდა 358 კმ. 1927 წელს ექპლუატაციაში შევიდა სენაკ-ინგირის საზი (ზუგდიდის განშტოებით), 1930 წელს კი ინგირი-გალის უბნები. გარდა ამისა, შენდებოდა ქალალდებობინატთან დამაკავშირებელი გზები. უკანასკნელი ხაზი ზუგდიდი-ჯვარი 1972 წელს ამოქმედდა ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მოძრაობა აბაშა - სენაკი - ხობი-ინგირის მონაკვეთზე 1949 წლის შემდეგ, როცა შავიზლვისპირეთის რკინიგზა ნორმალური ფუნქციონირება დაიწყო და



საქართველორუსეთს უმოკლესი გზით დაუკავშირდა.. 60-იან წლებში ტვირთბრუნვის მაჩვენებლითა და ეკონომიკური მნიშვნელობით აღსანიშნავი იყო ზუგდიდის რკინიგზის სადგური.

ზუგდიდის სწრაფი ტემპებით განვითარება XX საუკუნის II ნახევრიდან იწყება: აშენდა თეატრი, კინო-თეატრი, სტადიონი, სკოლები, საბავშვო ბაღები. ზუგდიდში მსხვილი და საშუალო სიდიდის 18 სამრეწველო სანარმო ფუნქციონირებდა, რომელიც ყოველწლიურად 200-220 მლნ. ამერიკული დოლარის პროდუქტსანარმოებდა. ამიერკავკასიაში ერთადერთი ქალალდის კომბინატი და ფაიფურის ქარხანა მხოლოდ ზუგდიდში ფუნქციონირებდა. ზუგდიდის მრეწველობა პირველ რიგში ძვირფასი სასოფლო-სამუშავენერო ნედლეულის ბაზაზე აღმოცენდა. მრეწველობის განვითარებას საფუძვლად ედო ცენტრალიზებული დაგეგმვა, აქ ძირითადად ფუნქციონირებდა კვებისა და საშენ მასალათა მრეწველობის სანარმოები, ასევე მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, ხე-ტყის, ხის დამზადებელი და ცელულზა - ქალალდის, მსუბუქი და მრეწველობის სხვა დარგების სანარმოები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზუგდიდის ცელულზა-ქალალდის კომბინატი, რომლის 1939 წელს ექსპლუატაციაში შესვლა რაიონის სამრეწველო განვითარებაში მნიშვნელოვანი

კოლეგის გული

მოვლენა იყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში ამოქმედდა ჩაის პირველადი გადამუშავების, ხოლო 1941 წელს ცაიშის საწნეები ფაბრიკა.არათუ რეგიონის, არამედ მთელი რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განმტკიცების საქმეში უდიდესი წელილი შეიტანა ენგურჰესმა, რომლის მშენებლობა 1861-1980 წლებში განხორციელდა. ეს იყო ზუგდიდის მრეწველობის შემდგომი განვითარების ერთგვარი სტიმული.ქვეყნის მასტიაბით ერთ-ერთ პერსპექტიულ სანარმოთა რიცხვს განეკუთვნება ფაიფურის ქარხანა, რომელიც ამოქმედდა 1976 წელს, რომლის სანარმოო სიმძლავე შეადგენდა 28 მლნ ცალ ფაიფურის ჭურჭელს. 1941 წელს მთლიანად შევიდა ექსპლუატაციაში ზუგდიდის საკონსერვო ქარხანა. პროდუქციის ძირითადი ნაწილი მოდიოდა ხილბოსტნეულის კონსერვებზე, ხილის წვენების წარმოებაზე. ზუგდიდში მოქმედებდა ეთერზეთების კომბინატი. ეთერზეთების წარმოება ერთ-ერთი შემოსავლიანი და პერპექტიური დარგი იყო. ზუგდიდში მოქმედებდა დაფნის კომბინატი, სადაც გამხმარი ფოთლის დაფასორებასთან ერთად დაფნის ზეთსაც ამზადებდნენ. კვების მრეწველობის



დარგებიდან აღსანიშნავია ფქვილის, ღვინის, პურსაცხობი, ხორცის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების წარმოება. 1967 წლიდან ზუგდიდი გახდა რესპუბლიკის დაქვემდებარებული ქალაქი. 90-იან წლებშისაბჭოთა კავშირისადამლისადასაქართველოში სამოქალაქო ომის პერიოდში მოიშალა ეკონომიკის სისტემა, დროებით შეჩერდა აღმშენებლობითი პროცესი. 1995 წლიდან ზუგდიდი გახდა ისეთი დინამიკური ქალაქი, სადაც სწრაფი ტემპით დაიწყო ყველა სფეროს აღმოჩენა.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების დღიდან აბსოლუტურმა უმრავლესობამ გამოიარა რაიონის ტერიტორია დაუმრავლესობამაქდამკვიდრა ბინა. ქალაქში ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ დევნილთა პრობლემებზე, ასევე აფხაზეთიდან დევნილთა სამინისტროს წარმომადგენლობა. ზუგდიდშია დევნილთა სამეცნიეროს პოლიკლინიკა და საავადმყოფო, რომელსაც კოორდინაციას უწევს დევნილთა სამეცნიეროს დროებითი სამედიცინო სამსახურის ცენტრი. ასევე აფხაზეთ 11 საჯარო სკოლა და დევნილთა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლობა.

2003 წლიდან დაჩქარებული ტემპით დაიწყო შუალედი აღმშენებლობითი პროცესი. განვითარდა ზუგდიდის ეკონომიკა, შეეცემა გზები, ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის დაცვას, განათლე-

ბას, კულტურული სფეროებისა და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას. ახალგაზრდების განათლებას ემსახურება ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალი, 12 საჯარო სკოლა და სხვა სპეციალური სასწავლებლები.

ზუგდიდში ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ოდიში“, გამოდის გაზეთები: „ზუგდიდი“, „ახალი ზუგდიდი“. უურნალი, „ზუგდიდელები“. არის ადგილობრივი რადიო მაუნტებლობა „ოდიში+“ და „ათინათი“. რეგისტრირებულია რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, მათი საქმიანობის სფერო გამოირჩევა მრავალფეროვნებით. წარმატებული ორგანიზაციებია: „ათინათი“, ასოციაცია „გაენათი“, „ორდუ“, „იმედი“, პროფესიული დასაქმებისა და გადამზადების ცენტრი, ქართულ - გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურულ ურთიერთობების ასოციაცია „ქართულ-გერმანული სახლი“ და სხვა.

აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ქარხენები. 2006 წელს აშენდა თხილის გადამამუშავებელი ქარხანა „არგონათსი“, რომელიც აღჭურვილია იტალიური კომპანია „ბრილინდის“ უახლესი ტექნოლოგიებით და ხარისხის კონტროლის თანამედროვე ლაბორატორიით. ქარხანა ანარმოებს ეკოლოგიურად სუფთა თხილის ხუთი დასახელების პროდუქტს: გარჩეული, მოხალული, დაჭრილი, პასტა და დამაქრული. საქართველოში წარმოებული თხილი უმაღლესი ხარისხისაა მისი კალორიულობა 7-8%-ით აღმატება მსოფლიოს წამყვანი თხილის მწარმოებელ ქვეყნებში გამოშვებული თხილის კალორიულობას.

შ.პ.ს „ეთერზეთები“ დაფუძნდა 1995 წელს. შექმნილი აქვს საქმაოდ ძლიერი მატერიალურ - ტექნიკური ბაზა უახლესი ტექნოლოგიური ხაზებით. ძირითადი პროდუქცია: სხვადასხვა ეთეროვანი ზეთები, რომლებიც გამოიყენება პარფიუმერია კოსმეტიკისა და კვების მრეწველობაში, მედიცინის სფეროში. ფირმის პროდუქციაზე დიდი მოხსენებია ევროპის ბაზარზე. პროდუქცია არის ეკოლოგიურად სუფთა და მთლიანად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოხვევლებს.

შ.პ.ს. „ლეკო“ - კომპანია რეგიონში პურისა და პურფუნთუშეულის წარმოებაში ღია დერენია. აქვს პურის მიკროქარხანა იტალიიდან შემოტანილი უახლესი ტექნოლოგიური ხაზებით.

ზუგდიდში ფართოდ არის განვითარებული მხატვრული თვითშემოქმედება, შექმნილია მრავალი მხატვრული კოლექტივი, მუსიკალური, თეატრალური ჯგუფები. განვითარებულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ფუნქციონირებს კინოთეატრი. ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს თეატრი. ჯერ კიდევ XIX საუკუნის II ნახევრიდან იმართებოდა სცენის მოყვარულთა სპექტაკლები. პირველი დრამატული თეატრი 1923 წელს დაარსდა, რომელიც შალვა დადიანის სახელს ატარებს.

თავისებურად განუმეორებელი და ულამაზესი ქალაქი - ზუგდიდი, ამჟამად არის სამეცნიერო - ზემო სვანეთის მხარის ცენტრი.

ლიოსი სავალი გზა

ალექსი სენაკი



ლიოსი ალექსი და მისი ძმა, მარტვილის
მონასტრის ბერი ბესარიონ შუშანია

31 იანვარს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ალექსობას აღნიშნავს 31 იანვარი ლიოსი მამა ალექსის (შუშანია) აღსრულების დღეა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ბერი-პოეტი, ბერი-მწიგნობარი უფლის სასწაულებრივი გამოცხადებით ადგება ღვთისკენ სავალ გზას. მენჯის მთავარანგელოზთა კუნძულზე ბერის მიერ სავანის დაარსებასაც უფლისმიერი ჩვენება უდევს საფუძვლად. მისი ცხოვრება იმ ურთულეს პერიოდში თავად დიდი სასწაულია. მონასტერთა საფუძვლის ჩაყრა მენჯსა თუ ზემო-თეკლათში, ლიტერატურული მოღვაწეობა, ბრძოლა სამეგრელოში ქართული ენის აღმოფხვრის მსურველთა წინააღმდეგ, უამრავი მონაფის აღზრდა და დაყენება უფლის გზაზე, მისი მკაცრი ასკეტური ღვაწლი... ჩამონათვალი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს წმინდა ბერის ხილულ სათნოებათა შესახებ... სენაკისა და

სრულიად საქართველოს მფარველი დიდი მოღვაწე მამა მენჯის მთავარანგელოზთა მონასტერშია დაკრძალული და ალექსობას, ერისა და ბერის სიმრავლე, მონიწებით მოილოცავს მის სავანესა და საფლავს. დღესაც, სენაკის, ჩხოროწყვასა და ავსტრალიის მიტროპოლიტ შიოს აღვლენილ საზეიმო ლიტურღიაზე სრულიად საქართველოდან უამრავმა მომლოცველმა მოიყარა თავი. წირვას სასულიერო პირებთან და მრევლთან ერთად ესწრებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე.



გენერალი ვასილ ჭიჭელავა



საქართველოს გასაბჭოების და დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო ბრძოლა ეკლესის წინააღმდეგ, 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა №21 დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსაგან ეკლესისა და ეკლესისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. დადგენილების მუხლებში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ თითოეული პიროვნების საქმეა ინამოს ან არ ინამოს ესა თუ ის რელიგია, რომ სარწმუნოება არავითარ უპირატესობას არ ანიჭებდა არავის, სკოლა გამოყოფილია ეკლესისგან, საერო სასწავლებლებში იყრძალებოდა საღვთო სჯულის სწავლება. განსაკუთრებით საგანგაშო იყო დადგენილების მე-14 და მე-15 მუხლები. "არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ

საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად". [1] ამ დეკრეტით ფაქტიურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშედ ცხადდებოდა. ეს იყო იმ ბრძოლის დასაწყისი რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოუცხადა მართმადიდებლურ ეკლესიას. კომუნისტურ ხელისუფლებაში ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ სასულიერო პირთა დევნა გამდვინვარდა, სწორედ ამ დროს გამოარჩია უფალმა ბერმონაზონი ვასილი.

ბერმონაზონი ვასილი ერისკაცობაში: ვასილ ალექსის ძე ფირცხალავა (დაბ. 1923 წ. 16 იანვარი, ჩხოროცხუს რაიონის სოფ. ზუმიში). დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში, შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ ზუგდიდში, შემდეგ წალენჯიხის პედაგოგიურ სასწავლებელში, 1942 წ. ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დამთავრა. ბერმონაზონი ვასილი სიყრიდანვე გამორჩეული იყო .მისი ცხოვრების შესახებ არსებობს მისი მეგობრების მოგონებები. ისინი ამბობენ, რომ მამა ვასილი გამორჩეული ადამიანი იყო, თამაშსა და გართობას ერიდებოდა. ბავშვობიდან სარწმუნოებისადმი სიყვარულით გამოირჩეოდა. სახლში ხატების კუთხე ჰქონია, რომელზეც ლოცულობდა, თუმცა მისი ერთერთი მეგობრის თქმით, ამ კუთხეს მაღლავდა. სადუდენტობისას მას დიდ მომავალს უნი-

ნარტარმეტყველებდნენ საერო ცხოვრებაში თუმცა მისი ღვთისდამი სიყვარული იმდენად დიდი იყო რომ მან საბერო გზა აირჩია, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მის ცხოვრებაში დადგა ახალი ეტაპი როცა ის უნდა შედგომიდა სასულიერო მოღვაწეობას იმ ხანად ეს ძალიან საშიში და რთული იყო, ამავდროულად ფაქტობრივად სასულიერო კერები იშვიათად თუ არსებობდა იმ პერიოდის საქართველოში, უნივერსიტეტის დამთავრებისას უკვე მამა გარდაცვლილ ყავდა დედე მორწმუნე იყო მაგრამ უჭირდა იმასთან შეგუება რომ მისმა შვილმა სამონასტრო ცხოვრება აირჩია, ალბათ იმიტომ რომ მას 3 ვაჟი დაელუბა მეორე მსოფლიო ომში...ბეთანიის მონასტერში მამა ვასილი 1954 წელს მივიდა მისი მოძღვრის, არქიმანდრიტ კონსტანტინეს (ქვარაია) ლოცვა-კურთხევით. სწორედ მაშინ, როდესაც ღვთის სიტყვა აღარსად გაისმოდა საქართველოში, ბეთანიის მონასტერს განსაკუთრებული მისია ეკისრა - იგი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ჯერ კიდევ ხმამაღლა იქადაგებოდა ქრისტიანობის მარად ცოცხალი ჭეშმარიტებანი, აღესრულებოდა ყველაზე ქმედითი ალიარება სარწმუნოებისა, არა მხოლოდ ამ ბერების სიტყვით, არამედ მათი მოსაგრე ცხოვრებითაც. ბეთანიის მონასტერში იმ დროისთვის ორი გამოიჩინილი ბერი - მამა გიორგი (მხეიძე) და მამა იოანე (მაისურაძე) მოღვაწეობდნენ. მონასტერს ხშირად სტუმრობდა მამა გაბრიელი. მამა ვასილი იყო

მოძღვარი

მამა გაბრიელის თანამებრძოლი; მათ ერთი სულიერი მოძღვარი ჰყავდათ - მამა გიორგი (მხეიძე). 1955 წლის 24 იანვარს ბეთანიის მონასტრის წინამდღვარმა არქიმანდრიტმა იოანემ (მაისურაძე) ილუმენი გიორგის თანაშენევნით მამა ვასილს შემოსა მცირე სქემა. 1955 წ. 10 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ ვასილს მღვდელ-მონაზვნად დაასხა ხელი. მამა ვასილს მღვდელმთავრობას სთავაზობდნენ, მაგრამ უარი თქვა: „**სიტყვა მაქვს მიცემული, რომ ვემსახურო მამა იოანეს და მამა გიორგის და არ დავტოვო ბეთანიის მონასტერი ჩემს, ან მათ გარდაცვალებამდე**“. მიცემული სიყვა მან ბოლომდე შეასრულა... თავისა ვატობიოგრაფიაში, რომელიც მაშინ დაწერა, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III ბერდიაკვნად დაასხა ხელი. მამა ვასილი წერს, „**მეწყალვიან სამამულო ომში დაღუპულნი, რადგან მათ ზიარება და სინაზული არ მიუღიათ და სამშობლოსათვის კი თავი დასდევს! დიდად საჭიროა მათი სულებისათვის დახმარება წირვით და ლოცვით, ამიტომ ვნატრობი იმ დღეს, როდესაც ღვთის წყალობით მივიღებ წირვის უფლებას, რათა მოვიხსენო ისინი ჩემი ცოდვილი და მწიკვლევანი ბაგით წირვაში. სავსებით შევიცანი სოფლის ამაოება 1948 წელს. ცხოვრება კაცისა ამ ქვეყანაზე მცირეა და ამ მცირე ხნის შემდეგ კი მიწაში მატლებთან უნდა განისვენოს. ყოველივე სიმდიდრე კაცმა მისდაუნებლიერაქუნდა დატოვოს სიკვდილის გამო, ამიტომ კაცის ამქვეყნიური დიდება და მატერიალური სიმდიდრე მოჩვენებითად და სიზმრად ჩანს ზეციური მარადიული დიდების წინაშე. სული ხორცზე მეტია. ამიტომ გონივრული, ბრძნული სულისათვის ვზრუნვიდეთ უფრო მომეტებულად. სული უკვდავია, იგი სიკვდილს არ ემორჩილება, რადგან უკვდავი ღმერთის ნაწილია, ამიტომ გონივრულია და ბრძნული, რომ მას წმინდად ვიცავდეთ და წმინდად ჩავაპაროთ მის შემოქმედს. ღვთის არსებობა უეჭველია, ამიტომ სრულიად ჩემი წებით დავტოვე სოფლის ამაოება და შევუდექი ღმერთს, აბსოლუტურ სიმართლეს, მიუწვდომელ წათელს, უსაზღვრო ბედნიერებას, უკვდავსა და მარადიულს, მიუწვდომელ სიბრძნეს, მიუწვდომელ მეცნიერებას. ეს მოხდა 1954 წლის 22 მაისს. ამ დღეს გამოვედი სოფლიდან და მივედი ბეთანიის უდაბნოში მწირ ბერად. 1954 წლის 26 ივნისს ბეთანიის მონასტერში მაღალლირსმა იღუმენმა გიორგიმ (მხეიძე) მიკურთხა ჩიხა. 1955 წლის 24 იანვარს ბეთანიის მონასტრის წინამდღვარმა არქიმანდრიტმა იოანემ (მაისურაძე) იღუმენი გიორგის თანაშენევნით შემმოსა მცირე სქემა. გუშინ, 27 იანვარს, სრულიად საქართველოს**

კათლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკის მიერ ხელდასხმულ ვიქენ იეროდიაკვნად“. (ბეთანიის მონასტრის მწირი ბერი და ამავე მონასტრის იერო-დიაკვანი ვასილ (ფირცხალავა) 28 იანვარი, 1955 წელი. სიონი). საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II იხსენებს: „ვიყავი სტუდენტი სასულიერო სემინარისა, როდესაც ბეთანიაში მოღვაწეობდა მამა ვასილი. ეს ისეთი დრო იყო, როდესაც იდევნებოდა ეკლესია... მაგრამ იმდენად მტკიცე იყო მისი ნებისყოფა, რომ ბოლომდე დარჩა ბერი.“ ხელისუფლების წარმომადგენლები აიძულებდნენ მამა ვასილს დაეტოვებინა მონასტერი, მაგრამ ღვთის სიყვარულით აღსავსე ბერის ნება ვერ გატეხეს. მამა ვასილი მტკიცედ ამბობდა: „**მე მონასტერს არ დავტოვებ**“. როდე-საც არც დევნამ და არც მუქარამ შედეგი არ გამოიღო, მამა ვასილი სასიკვდილოდ გაიმეტეს. ბერის ტრაგიკული აღსასრულის შესახებ დაიბეჭდა ამერიკაში გამოცემულ უურნალ „მართლმადიდებლურ სიტყვაშიც“ ის არაერთხელ გახდა მსხვეპლი ყაჩაღების თავდასხმისა მაგრამ თავდამბლობით და ქრისტეს ისყვარულით მიუყვებოდა გოლგოთის გზას, გზას ცხონებისა. მამა ვასილი 1960 წელს გარდაიცვალა, მას უნდოდა, რომ მამა იოანეს (მაისურაძე) გვერდით დასაფლავებულიყო. სამწუხაროდ, ეს ანდერძი არ შესრულდა. მამა იოანეს გვერდით საფლავიც კი გაუმზადა მამა გიორგიმ, მაგრამ იქ არ დაკრძალულა, რადგან მისი მშობლიური სოფლიდან მამა ვასილის თანასოფლელები და ახლო ნათესავები ჩამოვიდნენ და ბერის მშობლიურ სოფელში გადასვენება მოითხოვეს. მამა ვასილის დაკრძალვის დღეს ძალიან ბევრი მორწმუნე ჩასულა ბეთანიაში. ახლობლების სურვილმა ხალხში აღშეოთხება გამოიწვია და დაპირისპირებაც მოხდა. მამა გიორგის (მხეიძე) უთქვამს, რომ შეიძლება სისხლიც დაიღვაროსო და ვინ იცის, ჩვენ რომ აქ არ ვიქენებით, საფლავი გათხრონ და მაინც წასვენონ, ამიტომ წესი აუგო მას, რის შემდეგაც მშობლიურ მხარეში დაკრძალეს. მამა გიორგი მასზე ამბობდა - ორგზის მონამე არის და ორმაგ ჯილდოს მიიღებს ღვთისგან. მამა ვასილი მშობლიურ სოფელ ზუმშია დასაფლავებული, მის საფლავზე უამრავი მორწმუნე ადამიანი მიდის ნუგეშის საპოვნელად. ჩხოროცყუ სამეგრელოს ეს ულამაზესი მხარე ღირს ჰყო უფალმა რამეთუ მანნ უდიდესი სასულიერო მოღვაწე აჩუქა საქართველოს და მთლიანად მართმადიდებლურ სამყაროს.

თემო სახურია

„ლელუ ქსერი უნდა ლელუ შენუნდა“ ... ნიკო ნიკოლაძის ცხოვებიდან

27 ოქტომბერს ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 171 წელი გასრულდა. გასულ წელს 170 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე, დიდ ჯილდოვანი მდებარე სახლ-მუზეუმს ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილება, საღომა ზურაბიშვილება მდიდარი ეპისტოლარული მასალა გადასცა.

1921-25 წლებში დაწერილ პი-რად წერილებს ნიკო ნიკოლაძე სალომეს ბებიას, ნინო ნიკოლაძე-ზურაბიშვილს ლონდონიდან სწერდა. 100-ზე მეტ წერილში ამ უდიდესი საზოგადო მოღვაწის პირადი განცდები და ჩვენი ქვეყნის უმძიმესი წარსულის შეულამაზებელი ისტორიაა გადმოცემული. ისინი გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის უურნალისტიკის კათედრის პროფესორმა **დალი ჩიკვილაძემ** თარგმნა და მაღალ წიგნადაც გამოსცემს. წიგნის სახელი უკვე შერჩეულია - „დიდი ცხოვრების დაღმართი“...



- მოგეხსენებათ, ნიკო ნიკოლაძე 20 წლის მანძილზე ფოთის ქალაქისთავი გახლდათ. მისი ქალიშვილის, ნინოს მეუღლე - ივანე ზურაბიშვილი ფოთის ქალაქის მმართველობაში იურისტის ფუნქციის დაარსების შემდეგ თბილისში პარლამენტის იურიდიული საკითხების მოგვარებაში მონაწილეობდა. მოგეხსენებათ, 1921 წლის 25 თებერვალს მე-11 წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლება ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, იძულებული შეიქნა, თბილისი დაეტოვებინა. ნინო და ვანო ოჯახით კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) გაიხიზნენ. 1920 წლის აპრილში ნოე ჟორდანიას მთავრობამ ნიკო ნიკოლაძე, როგორც ეკონომიკის ექსპერტი, ევროპაში გაგზავნა ჭიათურის მარგანეცის გატანა-მოხმარების საკითხების მოსაგვარებლად. ინგლისელები ახალგაზრდა რესპუბლიკას მარგანეცის გატანის საფასურად თითქმის არაფერს უნაზღაურებდნენ. როგორც ცნობილია, ნიკომ 1903 წელს ფოთის პორტიდან ერთი ფუთი მარგანეცის გატანაზე ნახევარი კაპიკი დააწესა. ეს გახლდათ პირველი ბაჟი რუსეთის იმპერიაში. შემოსული თანხა მან ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა. როგორც მოგახსენეთ,

„ჩემოს“ - ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად ნიკო ნიკოლაძე ინგლისში მიავლინეს. ანუ წითელი არმიის შემოსვლისას ნიკო ლონდონში იყო და შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იმხანად საქართველოში ვერ დაბრუნდა. ნიკოს შვილი, ნინო, ამ დროს იძულებით კონსტანტინოპოლში ცხოვრობს. კვირაში ერთხელ მამა შვილს წერილს სწერს და პასუხსაც იღებს. ეს მოიცავს დროის მონაცემებს 1921 წლის მაისიდან 1924 წლის ბოლომდე. ამ პერიოდში ნიკოს კრედიტი ასეთია: „არავის არაფერი დავუშავო, ვეცადო, ყველას გამოვადგე“.

- საქართველოში ამ დროს უმძიმესი სოციალური პირობები იყო. თბილისში მყოფი შვილები მამასთან ლონდონში რა მიზეზით არ გაემგზავრნენ?

- სწორედ ამის გამო ნიკო ნიკოლაძე თავის შვილებს სთხოვდა, ყველაფერი გაეყიდათ და ლონდონში გამგზავრებულიყვნენ. სთავაზობდა - აქ ფერმა გავხსნათ, წინილები, ჭუკები, გოჭები მოვაშენოთ და საკუთარი ლუკით ვიარსებოთო. ნიკომ კარგად იცოდა, რომ თბილისში სამინელი სიძვირე იყო და ოჯახის წევრების მიერ გამომუშავებული ხელფასი ერთი კვირაცარი იყოსაკმარისი. თუმცა, გიორგიმ ამაზე უარი განაცხადა - სამასახური გვაქვს და აქაურობას არ დატოვებთო. ნიკო წერილებში განმარტავს, ინგლისში იმიტომ დავრჩი, რომ ტყის დამუშავებისა და ჰესების მშენებლობის საქმე შემესავლაო. წარმოიდგინეთ, ის ამ დროს უკვე ოთხმოც წელსაა მიტანებული და მაინც სწავლობს... ამ პერიოდში მისი შვილობილი, არჩილი, პარიზში ელექტროინჟინრის სპეციალობას ეუფლება, რაც იმუამად ძალზე იშვიათი სპეციალობა გახლდათ. ნიკოს სწამდა, რომ საქართველოში ჰესების მშენებლობით ქვეყნის ეკონომიკა განვითარდებოდა. თავისი შვილი შვილი კი ამ პროფესიის პიონერად ესახებოდა. სასწავლებლად

ერის კაცი

მენშევიკების გაგზავნილ არჩილს, შესაძლებელი იყო, სწავლის გაგრძელება ველარ მოქერხებინა. ნიკო სწერდა, არავითარ შემთხვევაში არ შეეწყვიტა არჩილს სწავლა, ჩვენს ქვეყანას ამ სპეციალობის კადრი სჭირდება: „ჩვენს ქვეყანაში მსხვილი ინდუსტრია მაღავრ დაარსდება და ვერც გაიხარებს, გლეხეაცის ოჯახში შესატანი ცოდნა უფრო დაგვჭირდება, რის საშუალებას ჩვენ უფრო ადგილად ვიშვიოთ, ვინემ მარად ელექტრომეტრალურის ან ელექტროქიმიის გატანას შევძლებთ ჩვენში, რასაც მილიონი გირვანქა სტერლინგი სჭირდება“. არჩილ პპირდება, თუ მთავრობა უარს განაცხადებს სტიპენდიის გაცემაზე, სწავლის ერთი წლის საფასურს მე გადაგიხდიო. თანაც, არიგებს: „სხვებისგან ნურაფერს ელოდები, ნურაფერს მოითხოვ. საკუთარი თავისი იმედი გქონდეს, ასე გაიზარდე და ჩამოყალიბდი“.

- ნერილები ნიკო ნიკოლაძის ცხოვრების რაიმე ახალ დეტალს თუ ავლენს?

- არის პერიოდი, როცა ის თვეზე მეტხანს არ სწერს „ნინუსის“. თურმე, დავარდნილა და გონება 2 საათით დაუკარგავს. შედეგად, სახის მარჯვენა მხარის დამბლა განვითარებულა. ძალიან წუხს, რომ ყბას კარგად ვერ ამოძრავებს, მარჯვენა მხარეს ყურში ხმაური ესმის. ასეთი თუ დავრჩი, წავალ ჯიხაიშში სასიკვდილოდ, სადაც უკეთესად მოვკვდები, ვიდრე ლონდონში, მშეორი და ყოვლად დაუსაქმებელიო,

- სწერს ნინოს. 2 თვის შემდეგ მგრძნობელობა აღუდგა. როგორც ჩანს, იზრუნა და სრულად განიერება. საქართველოში დაბრუნებული თუმცა ასაკოვანი ნიკო, ძალზე სასიამოვნო გარეგნობის ყოფილა და გადატანილი დამბლის არავითარი კვალი აღარ ეტყობოდა. ავადმყოფობის ეს ისტორია ნერილების საშუალებით პირველად ხდება ცნობილი. ნიკოს უმცროსმა ქალიშვილმა, სახელგანთქმული აკადემიკოსის, ნიკო მუსხელიშვილის მეულემ, თამარმა, მამის მოსავლელად ლონდონში დიდი წვალებით ჩააღწია. მასთან 2 თვე დაჲყო, ინგლისურს ინტენსიურად სწავლობდა, ფიზიულტერის გაკვეთილებს ქსნრებოდა, - ის და გიორგი გატაცებული იყვნენ ტანვარჯიშითა და მთამსვლელობით. ინგლისიდან თამარი პარიზში ჩავიდა, სადაც მას ახალგაზრდა საქმრო, ნიკო მუსხელიშვილი ელოდებოდა. პარიზშივე ხელი მოაწერეს და ჯვარიც დაიწერეს. იქიდან ცოლ-ქმარი გერმანიაში, შემდეგ მოსკოვში და ბოლოს თბილისში დაბრუნდა. აქ მათ ვაჟი, შემდგომში ცნობილი მათემატიკოსი, გურამი შეეძინათ. ნიკოს ამავე ნერილებიდან ირკვევა, როდის და როგორ გადაწყვიტა მან ცნობილი მოგონებების დაწერა. დამბლის შემდეგ განსაკუთრებით აქტიურად დაუწყია ამ საკითხზე ფიქრი... „მოგონებათა დასაწერად საჭიროა განვთავისუფლდე ყველა საზრუნვისგან, მქონდეს საშუალება ვიცხოვრო სადმე სოფელში მშვიდად და 2 წელი მაინც ამ საქმით ვიყო დაკავებული... მე უსაქმურობა მტანჯავს, ანუ უმუშევრობა, უმიზნობა, უიმედობა... საქმე

შემიყოლიებდა და ჩემს დროს დაიკავებდა“.

- როდის დაბრუნდა ნიკო ნიკოლაძე სამშობლოში?

- ნერილებით ირკვევა, რომ მაშინდელი ოფიციალური პირები ნიკოს დაბრუნებას სთხოვდნენ. გიორგი ნიკოს მთავრობისაგან ხელშეუხებლობის შესახებ მრავალჯერ ატყობინებს. აქ წყდება მიმოწერა საზღვარგარეთიდან და ნინოსთან „ნერილობითი დიალოგი“ უკვე თბილისიდან გრძელდება. ეს იყო 1924 წლის დასასრულს. მას შემდეგ ნიკოს საქართველო აღარ დაუტოვებია. როდესაც გარდაიცვალა, სტალინის უშუალო მითითებით, მთაწმინდაზე დაკრძალეს. 1928 წლის აპრილი იდგა. მაშინ ეკლესიას ყოველგვარი უფლება ნართმეული ჰქონდა, მაგრამ კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის ძალისხმევით ამ დღეს თბილისის ყველა ეკლესიაში ზარები გუგუნებდა, ვიდრე კუბი მთაწმინდაზე არ აიტანეს... წინა ღამით ნიკოს ტვინი შესწავლის მიზნით, სხეულს გააშორეს.



ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი დიდ ჯიხაიშში

- ნერილების ნახვის საშუალება მკითხველს მალე ექნება?

- ნერილების რუსულიდან თარგმნას მალე დავასრულებ და გამოცემ კიდეც. მინდა, წიგნი ნიკო ნიკოლაძის ტომეულების ერთ-ერთ პირველ კომენტატორს, ჩემს უასლოეს მეგობარს, მარინა კანდელაკს მივუძღვნა, რომელიც მოულოდნელად ივლისში გარდაიცვალა. დასასრულს, ნერილებიდან ერთი ამინარიდის საშუალებით, ნიკოს განწყობას გავეცნოთ: „ყველასთვის კარგი ვარ, როცა მათ ვუნდივარ. სხვაგან, განათლებულ ქვეყნებში, ბედნიერებაა, როცა ადამიანს ჭკუის, ძალისა და სიმარჯვის სახელი დაუკარდება, ჩვენში ეს უშველებელი უბედურება... მთელი ჩემი ცხოვრება ასეთი დაუნდობელია. ყველასთან კორექტული და რაინდული ვიყავი. ისინი კი ყაჩალებივით მექცეოდნენ. ძნელია განათლებულმა და წესიერმა ადამიანმა იცხოვოს და იმუშაოს ველურებში, ბატონისა და პლანტატორის როლის გარეშე. მაგრამ ცხოვრებას თავიდან ვერ დავიწყებ. ამიტომ, საფლავში ისეთივე სულელ რომანტიკოსად უნდა ჩავიდე, როგორც ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ვიყავი. ვერაფერს შევცვლი. ბედია და მეტი არაფერი!“

შორენა ლაპარა

თვითმკვრება მოსკოვში და
ომის გროს აფხაზეთირან მოქარული
ყნისარყული საცემი

სუიციდის შემთხვევისას ერთი თვის შემდეგ კი მისმა რუსები მიგოყარება სირბები აკსიუტჩეკება ივანე შერვაშიძის ნივთებში წრი ცატი და კიდევ ერთი ცენტრი იპოვა.

რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა, ივანე შერვაშიძემ, რომელმაც რამდენიმე წნის წინ სიცოცხლე თვითმკვლელობით დასრულა, მის მიერ წლების წინ შესყიდული ხატების აფხაზეთის მუზეუმისთვის გადაცემას ითხოვს. ანდერძის აღსრულებას, მისი მეგობარი აპირებს, რომელმაც წერილი და ხატები მის ბინაში შემთხვევით იპოვა.

შეგახსენებთ, რომ 68 წლის ივანე შერვაშიძემ
17 დეკემბერს მოსკოვში სასტუმრო „ნაციონალში“
მოიკლა თავი. რუსული მედიის ინფორმაციით,
თვითმკვლელობა სასტუმროს სათვალთვალო
ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს. ბიზნესმენმა წერილი
დატოვა, რომელშიც სიკვდილის შემდგომ კრემაცია
მოითხოვა.

„სასურველია, ფერფლი შავ ზღვაში და ბალტიის ზღვაში მიმოაბნიოთ”, - აღნიშნულია წერილში.

სუიციდის შემთხვევიდან ერთია თვის შემდეგ კი
მისმა რესმა მეგობარმა სერგეი აკსიუტჩევმა ივანე
შერვაშიძის ნივთებში ორი ხატი და კიდევ ერთი
წერილი იპოვა.

აკსიუტჩექის თქმით, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე შერვაშიძემ მის ბინაში ღამე გაათია, დილით კი ადრიანად წავიდა. როგორც ჩანს, სწორედ იმ ღამით დატოვა ბიზნესმენმა მეგობართან პატარა ჩანთა, სადაც ხატები და წერილი ინახებოდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, წერილში წერია, რომ ხატები 90-იან წლებში საომარი მოქმედებების დროს აფხაზეთიდან იყო მოპარული. შერვაშიძემ ისინი გამოისყიდა და უნდოდა სოხუმში დაებრუნებინა, მაგრამ ვერ მოასწრო. ამიტომ ამ სურვილის შესრულებას მეგობარს სთხოვდა.

სერგეი აკსიუტჩევი მისი დანაბარების შესრულებას და უნიკალური ხატის აზხაზეთში ჩატანას აპირებს.

აფხაზი ღვთისმსახურის დავით სარსანიას ინფორმაციით, ერთ ხატბები წმინდა გიორგია გამოსახული,

მეორეზე კი - მთავარანგელოზებს შორის მდგარი დადიანიბის გვარის ერთ-ერთი თავადი.

სარსანია ვარაუდობს, რომ ორივე ხატი თავის დროზე შესაძლოა იღორის წმინდა გიორგის ეკლესიის კუთვნილება იყონ და ომის დროს, ისევე როგორც სხვა რამდენიმე ძვირფასი ხატი, ისინიც მოიპარენ.

რუსი ხელოვნებათმცოდნეობის ინფორმაციით, ხატების წარმომავლობა სავარაუდოდ მეთექვსმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებს უკავშირდება. მათი თქმით, უფრო ზუსტ პასუხს ექსპერტიზის შედეგები გამოავლენს.

„ორივე ხატი უძველესია და ძალიან საინტერესო. თანაც, ორივე კარგად არის შემონახული, პრაქტიკულად, არავითარი დაზიანება არ აქვს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათის სტორიულ ღირებულებას”, - აჯხადებენ ხელოვნებათმეცნიერები.

სარსანიას ვარაუდს ადასტურებს ილორის ტაძრის ყოფილი წინამძღვარი ფრიდონ ასათიანი. მისი თქმით, აღნიშნული ხატები ტაძრის სეიფში ინახებოდა. წინამძღვარი ამბობს, რომ წმინდა გიორგის ხატი ეკლესიას ოდიშის მთავარმა ლევან დადიანმა უსახსოვრა.

„რომელ ხატებზეც არის საუბარი, ვიცი. ორივე ხატი უძველესი ისტორიული ღირებულებისაა და რომ არ დაზიანებული იყო, მაცხოვრის ხატთან ერთად ეკლესიის სეიფში ინახებოდა და დღესასწაულებზე გამოივარდა ხოლმე. თანაც ომამდე ეკლესია ორჯერ გაიძარცვა და ამის გამოც გვეშინოდა. საომარი მოქმედებების დროს კი აპსოლუტურად ყველაფერი წაიღის, ჩინი ნივთების წამოლებაც გერ მოგახერხე.

„ნმინდა გიორგი ხატი XVI-ე საუკუნისაა ეკლესიას ლევან დადიანმა უსახსოვრა, რომელმაც თავისი ხელით შექმნა. რაც შეეხება მთავარანგელოზის ხატს, ვიზუალურად მახსოვს, თუმცა დეტალებს კვრ ვიხსენებ", - უთხრა "მთელ კვირას" ასათიანმა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცი-
რებული პროფესორი ლია ახალაძე კი ამბობს რომ ეს
ხატები ხელოვნების ნიმუშების გარდა წარმოადგენენ
წერილობით ძეგლებსაც.

მისი თქმით, მათზე დატანილია ძველი ქართული
ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი
წარწერები.

ბიზნესმენი ივანე შერვაშიძე ეროვნებით აფხაზია.
საყოველთაოდ ცნობილია, რომ შერვაშიძეები
აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლები
იყვნენ. თუმცა, აღნიშნული გვარის წარმომადგენელთა
დიდი უმრავლესობა შუა საუკუნეებში, XIX-XX
საუკუნეებში და ახლაც ეროვნულ იდენტიფიკაციას
ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან ახდენს.

„ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ 1992-1993 წლების
საომარი მოქმედებების დროს არ დამატვარა აფხაზეთის
სახელმწიფო მუზეუმი (და არც მისი არქივი), სადაც
ხელოვნების ძეგლები, მათ შორის ქართული ჭედური
ხატების მცირე ნაწილი და მათი აღნერილობა
ინახებოდა. საომარი მოქმედებების დროს დაიწვა
არა მუზეუმი, არამედ აფხაზეთის ცენტრალური
სახელმწიფო არქივი, რომელიც წარმომადგენდა XIX-XX
საუკუნეების დოკუმენტური წერილობითი წყაროების
(საბუთების) საცავს. შესაბამისად, მოცემული
ხატების აღნერილობისა და წარმომავლობის შესახებ
ინფორმაცია და სხვა სახის დოკუმენტები უნდა
ინახებოდეს აფხაზეთის ცენტრალურ სახელმწიფო
მუზეუმში, რომლის არცერთი ძეგლი არ დაზიანებულა
ომის დროს - უბრალოდ იგი არც კი გახსნილა.

„ნებისმიერი კულტურის ძეგლის იდენტი-
ფიკაციის, ავთენტურობისა და წარმომავლობის
გარკვევისას პირველ რიგში ყურადღება ექცევა
ძეგლის არქეოგრაფიულ ნიმუშს, რომელთა შორის
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენობრივ მონაცემებს
და წერილობით კულტურას. ივანე შერვაშიძის მიერ
აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმისათვის ნაანდერძევი
ნივთები, ნამდვილად წარმომადგენენ ხელოვნების
ნიმუშებს - ნმ. გიორგის ხატი და მიქაელ და გაბრიელ
მთავარანგელოზების ხატი. მაგრამ ამავე დროს ისინი
წერილობითი ძეგლებიცაა, რადგან მათზე დატანილია
ძველი ქართული ასომთავრულით შესრულებული
განმარტებითი წარწერები.

„შესაბამისად, აღნიშნული ნივთებს არა მარტო
ხელოვნებათმცოდნეობითი, არამედ პალეოგრაფიული
და ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, რადგან ძეგლებზე
იკითხება „ნ(მიდა) გ(იორგ)ი“ და ერთ-ერთი ქართული
ფეოდალური გვარის, დადიანთა სამთავრო სახლის
წარმომადგენელთა ლეგენდა ასევე ქართულ ენაზე“, -
თქვა ახალაძემ.

მისივე თქმით, ორივე ნივთი დიდი ალბათობით,
XIX საუკუნის პირველ ნახევრში პეპუ მეუნარგიას



ხელიდან გამოსული ძეგლი უნდა იყოს და
სავარაუდოდ, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის
ნიკო დადიანის მამის - დავით დადიანის კუთვნილება
უნდა ყოფილიყო.

„თუ დავეყრდნობით ძეგლზე დაცულ წერი-
ლობით და ენობრივ მონაცემებს, იგი ქართულ
კულტურულ სამყაროს ეკუთვნოდა, რადგან მათი
ქტიოტორები, შემომწირველი და მლოცველი
საუკუთარი თავის იდენტიფიკაციას ქართულ ენა-
ზე, ქართული დამწერლობით ახდენდნენ. მართა-
ლია, შუა საუკუნეებისა და ყეყ საუკუნის აფხაზეთის
წერილობითი ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობა
ქართულია, მაგრამ ეს სწორედ იმაზე მიუთითებს,
რომ აფხაზეთი ქართული კულტურულ-ისტორიული
სამყაროს ნაწილი იყო.

„ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით,
ანალოგიური ხატები ცნობილია ქართულ ჭედურ
ხელოვნებაში. მაგალითად, ზუგდიდის ნმ. გიორგის
ხატი მხედრული წარწერით, ზუგდიდის 1849 წლის
ხატი ქართული ასომთავრული წარწერით და ა.
შ. აღნიშნული ანალოგიებით, ორივე ნივთი, დიდი
ალბათობით ყეყ საუკუნის პირველ ნახევრში პეპუ
მეუნარგიას ხელიდან გამოსული ძეგლი უნდა
იყოს და სავარაუდოდ, სამეგრელოს უკანასკნელი
მთავრის ნიკო დადიანის მამის - დავით დადიანის
კუთვნილება უნდა ყოფილიყო. თუმცა, ნივთების
ხელოვნებათმცოდნეობით ლირებულებაზე ჭედური
ხელოვნების ისტორიკოსები გაცილებით მეტს
იტყვიან.

„აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით
მოსაზრებას, რომ ეს ნივთები აფხაზი ხალხის ფასეუ-
ლობაა და „ქართველმა ვანდალებმა“ „მოიპარეს“,
რადგან აშენარა ხატებზე ქართული წარწერებია.
როგორც ძველ ქართულ ჭედურ ხელოვნებაში იყო
მიღებული, არ გამოვრიცხავთ ხატის ზურგზეც
ამოკვეთილი იყოს ქტიოტორთა ქართული წარწერები,
რაც გაცილებით მეტ ინფორმაციას მოგვცემს ხატის
წარმომავლობის შესახებ“, - გვითხრა პროფესორმა.

მერლის პირს სიმპტომები ლა პროფილაქტიკა

ესლურ ოცნებულ დაავადებებს შორის სარჩევი ჯირკვლების კიბო ყველაზე ხშირია. ამითომაც პუნებრივია, მასთან დაკავშირებით გევრი კითხვა ჩნდება: რატომ აღმოცენება იგი და როგორ ვებრძოლოთ? დაავადების დიაგნოსტიკა დროულად როგორ მოვაძლინოთ? დაავადების განვითარების ალგათობას რა ამცირებს? ამ დაავადების დონე რატომ არის ასე მაღალი?

რისკის ფაქტორები

ჰორმონული ფონის დარღვევა. ქალის სასქესო ჰორმონების – ესტროგენების – მაღალი დონე დაავადების განვითარების რისკს სერიოზულად ზრდის. ყველაზე ხშირად ფონი მენსტრუალური ციკლის დარღვევის, გვიანი პირველი მშობიარობის, აბორტების, უმცვილობის გამო იზრდება.

ასაკობრივი პრობლემები. მიჩნეულია, რომ 35 წლის ზევით ქალებში სარძევე ჯირკვლების კიბოს განვითარება 25–30%-ით იმატებს. ამ შემთხვევაშიც, როგორც წესი, დაავადების ძირითადი მიზეზი ჰორმონული ფონის დარღვევასთანაადაკავშირებული. ამიტომ 35 წლის შემდეგ სარძევე ჯირკვლების რეგულარული გამოკვლევა აუცილებელია.

გენეტიკური წინასწარგანწყობა. თუ დედის ხაზით ვინმე (დედა, დეიდა, ბებია ან და) მკერდის კიბოთი ავადმყოფობდა, ამ შემთხვევაში დაავადების აღმოცენების რისკი 20–25%-ით იზრდება. ამიტომ გენეტიკური გამოკვლევის ჩატარება აუცილებელია. ის ადვილი და სწრაფია. პაციენტისგან სისხლს იღებენ და რამდენიმე დღის შემდეგ ექიმმა იცის, მისი სარძევე ჯირკვლების კიბოს გამომწვევი გენი რა მდგომარეობაშია. ეს გენი ყველა ქალს აქვს, მაგრამ საკითხავი ისაა, "ფხიზლობა" თუ "სძინავს". თუ კიბოს გენი აქტიურად მუშაობს, მაშასადამე, დაავადების აღმოცენების რისკი მაღალია. ამ შემთხვევაში ქალმა მეტად ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი თავს, დაიცვას სპეციალური დიეტა და გამოკვლევა რეგულარულად ჩაიტაროს.

გვიანი მენოპაუზა საშიში დაავადების რისკს ამაღლებს. თუ მენსტრუაცია 53–55 წლამდე შენარჩუნებულია, ეს ცუდი ნიშანია, მაგრამ არც ნაადრევი მენსტრუაციაა კარგი. თუ გოგონებში პირველი ციკლი 10–11 წლამდე დაფიქსირდა, ეს ექიმისთვის სიგნალია ფხიზლად იყოს.



სიმპტომები

სარძევე ჯირკვლების კიბო – ეს არის მკვრივი წარმონაქმნი, რომელიც შეიძლება როგორც მტკივნეული, ასევე უმტკივნეულო იყოს. სიმსივნის კონტურები არაერთგვაროვანია, გარშემო ქსოვილებთან მტკიდროდ დაკავშირებული, ამიტომ წარმონაქმნი უმოძრაო კონგლომერატს ჰგავს. სიმსივნე ისინჯება ფეხზე მდგომ და მწლიარე მდგომარეობაში.

არსებობს კიბოს რამდენიმე სახესხვაობა. სიმსივნე შეიძლება იყოს რბილ ქსოვილში, სარძევე ჯირკვლის სადინარებში, ასევე გამოყოფენ დერილის კიბოს. სიმსივნე, რომელიც სარძევე ჯირკვლების ქსოვილიდან იზრდება, თავს დიდხანს არ ამჟღავნებს. შეიძლება რამდენიმეწლიანი გავიდეს და მკერდში შემდეგ გაჩნდეს დისკომფორტი, რომელიც მენსტრუაციის წინ ძლიერდება. ხელით შეიძლება გლუვი ან უსწორო კონტურებიანი გამკვრივება მოისინჯოს. თანდათან დერილების შენება–ჩავარდნა ხდება.

სადინარების კიბოც დიდ ხნის განმავიბაში არ ვლინდება. შემდეგ ჩნდება ტკივილი, დერილებიდან გამონადენი, ზოგჯერ სისხლიანიც.

რაც შეეხება დერილის კიბოს, აქ სურათი საკმაოდ ნათელია. ძუძუს თავი სახეს იცვლის. ქალს ტკივილი ან დისკომფორტი აწუხებს.

მედიცინა

თანამედროვე დიაგნოსტიკა

წინათ სარძევე ჯირკვლებს რენტგენის დახმარებით იკვლევდნენ. ახლა მაგნიტურ-რეზონანსული მამოგრაფია კეთდება. მეთოდი ასოლუტურად უვნებელია. მისი საშუალებით 18მ-ის ზომის უმცირესი ცვლილებების გამოკვლევა ხდება. თუ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ჩატარების საშუალება არ გაქვთ, ჩვეულებრივი მამოგრაფია (რენტგენული გამოკვლევა) გაიკეთოთ. 40 წლიდან მამოგრაფიის ჩატარება საკმარისია 2 წელიწადში ერთხელ, 50 წლის შემდეგ - წელიწადნახევარში ერთხელ, ხოლო 60 წლიდან - წელიწადში ერთხელ. ვინც რისკის ქვეშაა, ისინი ინდივიდუალურ პროგრამას უნდა მიჰყენენ. შეგახსენებთ, რომ სიმსივნის წარმოქმნიდან მის პირველ გამოვლენამდე პერიოდი საშუალოდ 13 წელია. ამიტომ დაავადების დროულად გამომულავნება თავის გადარჩენის ერთადერთი გზაა.

დამოუკიდებელი გამოკვლევა

სპეციალისტების რჩევით, დამოუკიდებელი გამოკვლევა თვეში ერთხელ, მენსტრუაციის დამთავრებიდან მეხუთე-მეშვიდე დღეს ჩაიტარეთ. კლიმაქსის პერიოდში მყოფმა ქალებმა მკერდი ყოველი თვის ერთსა და იმავე რიცხვში უნდა შეამონმონ.

დამოუკიდებელი გამოკვლევა იწყება ქვედა საცვლით. ასევე საჭიროა ბიუსტკალტიერის შიგა მხარის გულმოდგინედ დათვალიერება იმის გასაგებად, დვრილებიდან გამონადენი ხომ არ არის.

შემდეგ მკერდის ვიზუალური დათვალიერება იწყება. პროცედურა ტარდება სარკის წინ ორ მდგომარეობაში: ჩამოშვებული და ანული ხელებით.

პირველ რიგში, საჭიროა მკერდის კანისა და დვრილების შემოწმება, რათა დარწმუნდეთ, გამონაყარი, ნახეთქები, ლაქა ხომ არ არის. ასევე ყურადღება ექცევა მის სისხლძარღვოვან სურათს. ერთი ძუძუს მეორესთან სიმეტრიულობა შეამონმეთ.

შემდეგ სარძევე ჯირკვლების თითებით მოსინჯვაზე გადადით. პროცედურა ხელისგულებით აკურატულად ჩაიტარეთ. მარცხენა მკერდი მარჯვენა ხელისგულით მოისინჯეთ, მარცხენა - მარჯვენათი.

თითოეული სარძევე ჯირკვალი წარმოდგენით 4 წანილად გაყავით. განსაკუთრეული ყურადღება ზედა გარეთა წანილ მიაქციეთ, ხშირად პათოლოგიური პროცესი სწორედ იქ ლოკალიზდება. პალპაცია სწორედ ამ წანილიდან დაიწყეთ და საათის ისრის მიმართულებით იმოძრავთ. ჯერ გარეთა წახევარი მოისინჯეთ, შემდეგ - შიგნითა.



იმავე მეთოდით რჩივე მკერდი მცოლიარებით მოისინჯეთ.

თუ მკერდის რომელიმე წანილის მიმართ ეჭვი გაგიჩნდათ და ფიქრობთ, რომ განსხვავება იპოვეთ, მკერდზე ხელები გადაიჯვარედინეთ, ერთდღროულად თითებით ორივე სარძევე ჯირკვალი მოსინჯეთ და ერთმანეთს შეადარეთ.

წორმაში მკერდის ქსოვილი ერთგვარი, ელასტიკური და უმტკივნეულოა. თუ სარძევე ჯირკვალში გამაგრებული წანილი აღმოაჩინეთ, დიაგნოზი თავს თავად არავითარ შემთხვევაში არ დაუსვათ, სასწრაფოდ ექიმ-მამოლოგს

მიმართეთ. ის აუცილებელ გამოკვლევას ჩაგიტარებთ, დიაგნოზს დაგისვამთ და მკურნალობის მრავალი მეთოდიდან ერთ-ერთ შეგირჩევთ.

სასარგებლო პროდუქტები

კიბოს განვითარების რისკის შესამცირებელი წამლების არჩევა - მხოლოდ და მხოლოდ ექიმის პრეროგატივაა. მათი დანიშვნა მკაცრად ინდივიდუალურია. ამიტომ მეგობრის რჩევით, რეკლამით და ა.შ. პრეპარატების თვითნებურად მიღება ყოვლად დაუშვებელია. კიბოს პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს კვებას. მენიუში რაც შეიძლება ხშირად ჩართეთ წითელ-ნარიჯისფერი ხილი და ბოსტნეული. მათში არსებული კაროტინოიდები ფ ვიტამინის წინამორბედია, რომელიც კიბოს საწინააღმდეგო ერთ-ერთ ძლიერ საშუალება ითვლება. მისი დეფიციტის დროს ონკოლოგიური დაავადებებისკენ მიდრევილება აღინიშნება. კაროტინოიდების მომწოდებელია: წითელი ვაშლი, სტაფილო, პომიდორი, ჭარხალი, საზამთრო, ატამი და გარგარი. ისინი ყველა ასაკის ქალისთვის აუცილებელია. რაც შეეხება კომბოსტოს, ის შეიცავს სპეციფიკურ ნივთიერებას - ინდოლს, რომელიც ქალის პორმონულ ფონს ცვლის და მას უჯრედების ავთვისებიანი გადაგვარებისგან იცავს. ამიტომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა ყოველდღიურად უნდა ჭამონ ნებისმიერი სახის უმი კომბოსტო. საქმე ისაა, რომ თერმული დამუშავების დროს ინდოლი იშლება და თავის უნიკალურ თვისებას კარგავს. იგივე ხდება მომზადებული კერძის სანგრძლივად შენახვის დროსაც.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთი გამოცემა „ეროვნული“ გრანი

„ნაცარქექია“ პოპულარული ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო ზღაპარია. პოპულარულია იგი არა მხოლოდ ქართულ ფოლკლორში, არამედ სხვა ქვეყნების ხალხთა ფოლკლორშიაც. მისი ტიპოლოგიური პარალელები გვხვდება აღიღეურ, თურქულ, უბისურ, რუსულ, ტაჯიკურ ზღაპრებს შორის. ამ საკითხს ჩვენ მივუძღვენით სპეციალური წერილი „ნაცარქექია“ (ტიპოლოგიური პარალელები). (ბეჭიანიძე 2006: 4) ამჯერად ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ „ნაცარქექიას“ იმ ტიპოლოგიურ პარალელებზე, რომელთაც ცნობილი ქართველი ფოლკლორისტი მ. ჩიქოვანი ასახელებს თავის ნაშრომში „გონების ძალა“. (ჩიქოვანი 1979:9) ეს არის აფხაზური „თაჭკუმი“, ოსური „ნაცარქექია ასაგი“, სომხური „გულადი ნაზარი“, ბალყარულ-ყარაჩაული „როგორ აღმოჩნდა ბიჭი გოლიათებზე გონიერი“, ჩერქეზული „საცოდავი მანანნალა ერთი დარტყმით ათასზე მეტს კლავს“, გერმანული „გულადი მკერვალი“, აღიღეური „ქაჩალი და გოლიათები“ („Кукий и великаны“) და კიდევ ჩეჩჩური ვარიანტი, რომლის შესწავლაც მომავლისათვის ვაპირებთ.

„ნაცარქექიას“ პერსონამ ლიტერატურაშიც იჩინა თავი - მხედველობაში გვაქვს პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ და სომეხი მწერლის დერენიკ დემირჭიანის პიესა „გულადი ნაზარი“, რომელიც სომხური ხალხური ზღაპრის „გულადი ნაზარის“ მიხედვით არის შექმნილი. ეს

ორივე პიესა დაწერილია გასული საუკუნის 30-იან წლებში, მძაფრი პოლიტიკური კატაკლიზმების დროს და შესაბამისად მთავარი პერსონაჟის სახეს პოლიტიკური ელფერი დაპრავს. როგორ აქცია შემთხვევითობამ ნაცარქექია გმირად, სომხურ ზღაპრებში მეფედაც კი დაწვრილებით არის ნაჩვენები ორივე ზემოხსენებულ პიესაში. (კაკაბაძე 1959: 5; დემირჭიანი 1940: 15)

ახლა ვნახოთ აფხაზური „თაჭკუმი“: იყო ერთი ზარმაცი და ცრუპენტელა მოხუცი კაცი, სახელად თაჭკუმი. იგი ტყუილი ტრაბახის გამო ცოლმა სახლიდან გააგდო და გაატანა ძველი, მოთელილი ნაბადი, გუდით მახათი, ჭყინტი ყველი და ცოტა ფქვილი. თაჭკუმმა გზად ერთი დიდი მდინარის გაღმა დევი დაინახა. დევმა დაუძახა, გაღმა გამიყვანეუ. თაჭკუმმა უთხრა, შენ თვითონ გამიყვანეო. დევს გული მოუვიდა, რიყის ქვა აიღო და წყალი გაადინა - ასე გაგაცხებინებ სულსო. მეც სულს გაგაცხებინებ, თუ გაღმა არ გამიყვანო - დაუძახა თაჭკუმმა და ჭყინტ ყველს წყალი გაადინა. დევმა ქვა დაფშვნა ხელით და გამოსძახა, ასე მტვრად გაქცევ, თუ გაღმა არ გამიყვანო. თაჭკუმმა ფქვილი მობოჭა და უთხრა, მეც ასევე მტვრად გაქცევო. დევმა თაჭკუმი მხარზე შეისვა და შეუ მდინარეში გაღმა გაყვანისას შენიშნა, რა მსუბუქი ყოფილხარო. მე ცას ვარ მოჭიდებული და იმიტომო, უთხრა თაჭკუმმა. აბა, ცას ხელი გაუშვიო, სთხოვა დევმა. მოხუცმა დევს ძეჭში სადგისი ჩაურჭო. ისევ ცას მოეჭიდეო, დაიღრიალა დევმა. გაღმა რომ გავიდნენ, დევმა უთხრა თაჭკუმს, ტყეში შედი და ჩემსეკენ ნადირი გამორევე, მე დავიჭერ და საუზმე მოვამზადოთო. თაჭკუმს ეშინოდა, მაგრამ უარის თემისა უფრო შეეშინდა, ტყეში შევიდა და ყვირილით ნადირი დააფრთხო. დევმა ბევრი ცხოველი დაიჭირა, გაატყავა და ხეებზე ჩამოჰკიდა. თაჭკუმი რომ დაბრუნდა, დევმა ჰეითხა, რატომ მეტი არ გამორევე, ეს რას გვეყოფაო? ამან უპასუხა, მშიშარა ნადირი შემხვდა და გაიფანგაო. მაშინ დევი თვითონ შევიდა ტყეში ნადირის გამოსარეკად, რათა ახლა თაჭკუმს დაეხოცა ისინი. ერთი უზარმაზარი ტახი პირდაპირ თაჭკუმისკენ გამოქანდა, მაგრამ ამან მოასწრო და ხის ტოტზე ჩამოეკიდა, ტახი კი



ხეს ემვებით დაეძგერა და დაება. მოხუცმა ამ დროს ხის ფუღუროში პატარა ჩიტი დაინახა, აიყვანა ხელში და დევს დაელოდა. დევი დაბრუნდა და ჰეითხა, ჩემი გამორეკილი ნადირი სად არის? მოხუცმა ტახზე და ჩიტზე მიუთითა დევი გაბრაზდა, მაგრამ არაფერი უთქამს, აიკიდა ნანადირევი და თაჭკუმი თავის სახლში წაიყვანა. საუზმის მომზადებისას შეშა დასჭირდათ და დევმა სტუმარი გაგზავნა შეშისთვის. თაჭკუმმა გარეული ვაზის რამდენიმე ძირი მოთხარა და ახლომახლო ხეებს შემოახვია. დევს ლოდინი მობეზრდა და თაჭკუმს მიაკითხა. ამან უთხა, ხეებს ვკრავ, რომ ერთად მოვგლიჯო და ნამოვილო. დევი აბუზლუნდა, დიდი ხე მოვლიჯო და ნაილო. საუზმე მინდორში ჰქონდათ. დევმა მოხუცს წინ ირემი დაუდო შესაჭმელად. მინდვრის ბოლოს ხრამი იყო და მოხუცმა მორჩენილი ხორცი იქ ისე გადაყარა, დევს არ შეუმჩნევია. ლამით მოხუცს ეშინოდა დევთან ერთ ჭერქვეშ ლამის გათევისა და გარეთ დაიძინა. დევმა მისი დამდუღვრა გადაწყვიტა, მაგრამ თაჭკუმი მიუხვდა განზრახვას და თავის ნაცვლად მორი დადო ნაპატევეშ, თვითონ კი ხეს ამოეფარა. ლამით დევმა მორი დამდუღრა. დილით თაჭკუმი შევიდა დევთან და უთხა, ნუხელ ძალიან დამცხა და ცუდი სიზმრებიც ვნახეო. დევი გაოცდა, ცოცხალი რომ დაინახა და გადაწყვიტა, რეინის შანთს გავახურებ და მძინარე თაჭკუმს გავუყრიო. მეორე ლამეს თაჭკუმი ისევ ისე მოიქცა და დევმა შანთი ნაპატეხურულ მორს გაუყარა. დილით მოხუცმა დევს უთხა, ნუხელ რნყილი მკბენდა და არ დამაძინაო. დევმა მწუხარებით ამოიხერა და მისი პირიდან ამოსულმა ჰერის ტალღამ მოხუცი ჭერში აისროლა. იგი ძელს დაეკიდა. დევი გაოცდა, მანდ რას აკეთებო? შიმშილი მელაგს, კბილის სიმაგრეს ვისინჯავ, რომ შეგჭამოო, უპასუხა თაჭკუმმა. დევმა იგი ძირს ჩამოიყანა და სასაუზმოდ მიიწვია, მაგრამ თაჭკუმს შიშისგან კრიჭა ჰქონდა შეკრული და დევს უთხა - ნანადირევი მობეზრდა, დევის ხორცი მინდა გავსინჯოო. დევს შეეშინდა და ტყეში გაიქცა. თაჭკუმმა დევის ფარა ნამოასხა, მაგრამ მწყემსად ვერ ივარგა, ცხვრები გზაში დაეფანტა, შინ მხოლოდ ერთი ცხვარი მიიყვანა, ისიც დაუკოჭლდა და მხრით ათრია.

ყველა ამ განსაცდელის შემდეგ თაჭკუმმა თავი დაანება სიცრუესა და ტრაპახს, მაგრამ მისგან კარგი მუშა მაინც ერ დადგა. (აფხაზური 1956: 82-86)

ზემოთ მოყვანილი ზღაპარი ახლოს დგას ორგორც ქართულ ასევე სხვა ქვეყნების „ნაცარქექიასთან“. განსაკუთრებულ სიახლოვეს ქართულ ზღაპართან იჩენენ ოსური, „ნაცარქექია“ და აფხაზური „თაჭკუმში“. აქ სახეზეა როგორც ყველიდან წყლის გამოდენა ქვის ნაცვლად მდინარის ნაპირზე, ასევე - სადგისის გამოყენება მთავარი გმირის მიერ და აფხაზური დადგინდება და დაუკოჭლდა და ტყეში გაიქცა. თაჭკუმმა დევის ფარა ნამოასხა, მაგრამ მწყემსად ვერ ივარგა, ცხვრები გზაში დაეფანტა, შინ მხოლოდ ერთი ცხვარი მიიყვანა, ისიც დაუკოჭლდა და მხრით ათრია.



არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი სხვაობაც-შესადარებელ ზღაპრებში მთავარი პერსონაჟი არსად არ უკავშირდება ნაცარს, კერიას. ეს მხოლოდ ქართულ ზღაპარში ხდება. ასევე - სხვაობაა ისიც, რომ თაჭკუმი დაჯილდოებული და გამდიდრებული არ ბრუნდება მდინარის გაღმა მხრიდან, როგორც ეს ამ ტიპის სხვა ზღაპრებში ხდება. ამ ფაქტს და იმ ფაქტს, რომ ნაცარქექიას სახლიდან აგდებენ უქნარობისათვის, საგმირო საქმების ჩასადენად იგი თავისი ნებით არ მიდის სახლიდან, მთავარი პერსონაჟის სახის გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. აი, რას წერს ამის შესახებ მკვლევარი რ. ჩოლოყაშვილი: „ჩვენს ნოველისტურ ზღაპრებშიც ხომ აგდებენ ნაცარქექიას მიცვალებულთა სამყაროში-მდინარის იქით, დევების საუფლოში, საიდანაც მთელი იქაური სიკეთით დახუნდლული ბრუნდება... ნოველისტური ზღაპრის მეტად ბოჟულარული გმირი ნაცარქექია ჯადოსნური ზღაპრის მთავარი გმირის მსგავსად, მოკვდავი და მკვდრეთით აღდგომადი ლვთაების მითოსური სახიდან იღებს სათავეს და გენეტიკურად მის ერთ-ერთ სახესხვაობას ქმნის“ (ჩოლოყაშვილი 2004: 165-166)

ამრიგად, ქართული „ნაცარქექია“ მთავარი პერსონაჟის ხასიათით და საერთო შტრიხებით ტიპოლოგიურ მსგავსებას იჩენს ოსურ „ნაცარქექიასთან“, აფხაზურ და ბალყარულ-ყარაჩაულ ზემოხსენებულ ზღაპრებთან, ხოლო გერმანული, სომხური, ჩერქეზული, აზერბაიჯანული ზემოხ-სენებული ზღაპრები მისგან განსხვავდებიან, მსგავსების ფაქტები არ არის საკმარისი, რომ ვარიანტებზე ვიმსჯელოთ. ეს განსხვავებული ზღაპრები არა „ნაცარქექიას“ ტიპისა, არამედ მისი ციკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. ისინი უფრო ენათესავებიან ქართული ზღაპრის „მძლეთამძლეს“ ტიპის ზღაპრებს.

დალილა გეორგიევი



ზღვის მარილი ზღვის განვითარების სამსახურშია მისი აპაზანები განკუთვნილია კანის დამატებითი კვებისთვის, რომელიც ენერგიით ავსებს, ხელს უწყობს მის სიმკვრივესა და ელასტიურობას. აპაზანის მიღების შემდეგ კანი გლუვი და კრიალა ხდება, იდევნება შლაკები. ზღვის მარილში შემავალი ბრომი და მაგნიუმი ამშვიდებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ხოლო იოდი სასარგებლოა ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებისთვის. ზღვის მარილი აუმჯობესებს ძვლის ტვინის ფუნქციასაც, ზრდის ჰემოგლობინის დონეს, რეკომენდირებულია ანემიის დროსაც, სასარგებლოა ბრონქებისა და ფილტების დაავადებათა პროფილაქტიკისთვის, ხსნის კუნთოვან დაძაბულობას. განსაკუთრებით სასარგებლოა მკვდარი ზღვის მარილი, რომლის წყალიც მდიდარია იოდითა და რკინით. გულ-სისხლმარლვთა სისტემით დაავადებულთათვის ზღვის მარილიან აპაზანებს შეიძლება უკუჩვენება ჰქონდეთ.

სილამაზის ფორმულა

დღეს განსაკუთრებით მოდურად ითვლება ზღვის პროდუქტებით მეურნალობა. მას თაღასოთერაპია ეწოდება. ზღვის, თერმული, მინერალური წყლის, წყალმცენარებისა თუ ტალახების, მარილის, ქვიშისა და ზღვიდან მიღებული სხვა კომპონენტების გამოყენებით ხდება SANUS PER AQUA (SPA) თერაპია, რომელიც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. აյ სუსტი სქესის წარმომადგენლები დადიან გასახდომად, გასალამაზებლად და თვითშეფასების მოსამატებლად. როდესაც დაძაბული დღის რეჟიმი, სტრესი, დაღლილობა თუ უძილობა ქალის ცხოვრების ყოველდღიური ნაწილი გახდა, ხოლო შ თერაპია კი ძვირადირებული მეურნალობა, მაშინ სპეციალისტები ზღვის მარილის აპაზანებს გვირჩევენ. იგი ძალიან ეფექტურია ცელულიტის სამკურნალოდაც. ზღვის მარილიან წყალში კანი ნაკლებად კარგავს ტენიანობას. ხშირი აპაზანები თანდათანობით ამცირებს ცხიმგროვებს სხეულზე.

ზღვის მარილის აპაზანები ძალიან ეფექტური და სასიამოვნო პროცესია, ამისათვის 37 გრადუსს ტემპერატურაზე გამთბარ წყალში გახსენით 300-დან 400 გრ-მდე ზღვის მარილი და მიღებით აპაზანა 20-30

წუთის განმავლობაში ყოველდღე ან დღეგამოშვებით. შეგიძლიათ აპაზანაში ნატურალური ან მცენარეული ექსტრაქტების ეთერზეთიც დაუმატოთ დახლოებით 10-15 წვეთი, ასევე, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი. თუ თქვენი კანი მერძნობიარეა, შეგიძლიათ, ცოტა ზეითუნის ზეთიც შეურიოთ. ზღვის მარილის აპაზანები სახლის პირობებშიც ადვილად შესაძლებელია. ეს პროცედურა ხსნის დაღლილობას, დაძაბულობას, ამშვიდებს ნერვებს, აახალგაზრდავებს კანს და ორგანიზმის სრულ რელაქსაციას ახდენს.

- ◆ ნებისმიერი ანტიცელულიტური აპაზანის წინ, კანი უნდა მოამზადოთ — დაიზილოთ უხეში ღრუბელით ან პირსახოცით, შემდეგ მიიღოთ შხაპი და ჩაწვეთ აპაზანაში. შეგიძლიათ ზღვის მარილს ერთი თხელი ნაჭერი ლიმონი ან ცოტაოდენი რძე დაუმატოთ. კვირაში ორჯერ ასეთი პროცედურის ჩატარება საკმარისი. იგი არ არის რეკომენდირებული ორსულებში, გულ-სისხლმარლვთა და თირკმელების პრობლემების დროს;
- ◆ სხეულზე კანი რბილი და ელასტიური რომ გქონდეთ, ერთმანეთში აურიეთ ზღვის მარილი და სოდა, სველი ხელის მსუბუქი მოძრაობით გადაისვით მთელ ჭანზე და გააჩერეთ ხუთი წუთი, შემდეგ ჩამოიბანეთ და შეიმშრალეთ;
- ◆ ზღვის მარილით პირის დაბანა და ნიღბის გაკეთება მოდუნებულ კანს გაახალგაზრდავებს, აურიეთ ერთმანეთში თაფლი, ხაჭო და წვრილმარცვლიანი ზღვის მარილი და წაისვით სახესა და ყელზე. 5 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით. თქვენი კანი ელასტიური და ხავერდოვანი გახდება;
- ◆ იმისათვის, რომ ფრჩხილები გაგიმაგრდეთ, ხელებზე კანი კი, უფრო რბილი გაგიხდეთ, ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში ჩაყარეთ ერთი სადილის კოვზი ზღვის მარილი, ჩააწვეთ რამდენიმე წვეთი ლიმონი და ჩაყავით ხელები 10 წუთის განმავლობაში;
- ◆ ტერფების პილინგისთვის 2 კოვზი ზღვის მარილს დაამატეთ 4 კოვზი თაფლი და წრიული მოძრაობით წაისვით ტერფებზე და გაიჩერეთ რამდენიმე წუთით, შემდეგ დაიბანეთ და წაისვით დამატენიანებელი კრემი.

შაქორის სიკვდილი ცელი

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერდა მოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო.

რუსეთის წითელი არმია ჩვენს ქვეყანაში 12 თებერვალს შემოიჭრა. რუსეთის მე-11 არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან აღუდვნენ. ძირითადი ბრძოლები კოჯირისა და ტაბახმელას მიღიამოებში გაიმართა.

მე-11 არმიას იუნკერებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ ერთხანს კიდეც უკუაგდეს მტერი. თუმცა განახლებული შეტაკებების შედევრად იუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში მოხალისედ წასული, პოეტ კონსტანტინე მაყაშვილის 20 წლის ქალიშვილი მარი მაყაშვილიც დაიღუპა. ის ყუმბარის ნამსხვევებით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში.

23 თებერვალს კოჯირისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირების გარეშე, ბეჭის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუნია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა საქართველოს დედაქალი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცეადა. ქვეყანამ სუვერენიტეტი დაკარგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. მებრძოლ იუნკერებს სამშობლო არასოდეს დაუტოვებიათ.



კოჯირის მახლობლად გმირულად დალუპული იუნკერები დიდი პატივით დაკრძალეს ეკლესიის ეზოში. იქ, სადაც ამუამად საქართველოს პარლამენტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული ტაბარი კი (აგებული 1897 წ.) 1930 წელს კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის შედევრად დაანგრიეს.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებს მთავრობას ყოველ 25 თებერვალს, ასეულ ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, რომელებიც "კომუნისტურმა საკუპაციო რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით სიცოცხლეს გამოასალმა", დაუშვას სახელმწიფო დოროშები და გამოცხადდეს წუთიერი დუმილი.

25 თებერვალს საზეიმო ღონისძიებები შეზღუდულია. მართლმადიდებლურ ტაძრებში კი გმირების სულების მოსახსენიერებელი პანაშვიდები სრულდება.

25 თებერვალი, 1921.

25 თებერვალი

თოვდა და თბილის კბურა თაღში,
დუმრა სიონი და დუმრა საღში,
მილავიძერა იურ ქალაქი წემი,
საშინელებას კელა სტერდა გრემლი -
ისე გოლგოთა, სისხლი და ცრემლი
შემძელო დედა, ისე გაგაიდეს,
ისე წამბის ჯვარი აგერიდეს,
არ შევიძრავს, კელა არ ჩაგინდეს!
თოვდა და თბილის კბურა თაღში,
დუმრა სიონი და დუმრა საღში,
დაცხრა კოჯირი და ტაბახმელა,
შეოლოდა თოვლი ცეიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გგამებს -
განგმირულ მკრდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იურ თებერვალის დამე.

თოვდა და თბილის კბურა თაღში,
დუმრა სიონი და დუმრა საღში,
იმ გზით, საღ წინაღ ელავენენ სმლები,
საღ სამას გმირთა დაიუშვნა მკლები,
საღ ქართლის დები ცრემლით ნანამი,
შემეცე დაეშვა წენი ალამი,
საღ გმირთა სისხლით ნაპოსიერი,
თოვს დავუარ კრწანის კვლი -
წითელი ღროში, მოღერილ კვლი,
თეთრ ცხენზე მკრდომი, ნაბიჭით ნელი
შემოღილდა სიკედილი ცელი!
თოვდა, და თბილის კბურა თაღში,
დუმრა სიონი და დუმრა საღში.

კოლაჟ ნადირაძე



භාණ්ඩ - භගැනුවල

මූල්‍යමත් මූල්‍ය

